პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 222 (5023) | სამშაბათი, 28 სექტემბერი 1937 წ. | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გაიზარდოს და განმტკიცდეს საბჭოთა კავშირის ძლიერება, რომ დავიცვათ სოციალისტური სახალხო მეურნეობა, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, ჩვენი მუშები, წითელარმიელები და კოლმეურნეები შხამიან გველთა კბენისაგან — უტყუარი საშუალებაა: ფაშიზმის მოსყიდულ ქოფაკების გასრესა.

ქვეყნის ყოველი კუთხიდან ისმის მოთხოვნა: სამშობლოს გამყიდველნი, დივერსანტები და ჯაშუშები უნდა დაიხვრიტონ.

საკოლმეურნეო წყობილების უბოროტესი მტრები

ლენინ-სტალინის უძლეველი პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირში ძირითადად უკვე განხორციელებულია კომუნიზმის პირველი ფაზა, სოციალიზმი. საკოლმეურნეო წყობილებამ გაიმარჯვა საბოლოოდ და სამუდამოდ. სოციალიზმის ეს წარმატებანი ოქროს ასოებით ჩაწერილია საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში, რომლის შემომქმედია ხალხთა ბელადი, დიდი სტალინი.

სტალინური მზით გამთბარი საბჭოთა კავშირის ხალხები ახალ-ახალ გამარჯვებებს ზეიმობენ. ცხოვრება საამური და ბედნიერი გახდა. შრომა გადაიქცა დიდების, ღირსების საქმედ. ტროცკისტული და მემარჯვენე გარეწარნი, ფაშიზმის ეს ცოფიანი ძაღლები მხეცური გაბოროტებით ებრძოდა სოციალიზმის აშენებას, სოციალისტურ მშენებლობის გამარჯვებას ჩვენს ქვეყანაში. ტროცკისტ - ბუხარინელთა არამზადები დიდიხანია გადაიქცნენ ჯაშუშთა, მკვლელთა უიდეო და უპრინციპო ბანდად. ტერორი, დივერსია, მავნებლობა, სამშობლოს ღალატი, კაპიტალიზმის რესტავრაცია — აი რა ზრახვები ასულდგმულებდა და ასულდგმულებს ფაშიზმის მოსყიდულ აგენტებს, ტროცკისტ და მემარჯვენე კონტრრევოლუციონერების ნაძირალებს.

აჭარის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელთა პროცესი, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, ცხადჰყოფს, რომ მათ სურდათ აჭარა — დიადი საბჭოთა კავშირის ეს მარგალიტი — გადაექციათ იმპერიალიზმის კოლონიად. მათ უნდოდათ აჭარის ბედნიერი ხალხი ბეგების, კულაკებისა და ალალარების მონებად ექციათ.

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით აჭარის გლეხობამ კოლმეურნეობებში ჰპოვა ხსნა კულაკების, ხოჯებისა და მოლების აუტანელ კაბალისაგან. განუწყვეტლივ იზრდებიან და მტკიცდებიან აჭარის კოლმეურნეობანი. აჭარის კოლმეურნეობათა საერთო ფულადი შემოსავალი წელს 23.427.906 მანეთს აღწევს. შარშან კი იგი 14.151.220 მანეთს შეადგენდა. განუწყვეტლივ იზრდება აჭარელ კოლმეურნეთა შემოსავალი. აჭარელი გლეხი დღეს ის აღარ არის, რაც წინათ იყო. იგი მტკიცედ დაადგა შეძლებული და კულტურული ცხოვრების გზას.

აჭარის კონტრრევოლუციური საბჭანყებო, ჯაშუშურ - ტერორისტული, დივერსიულ - მავნებლური ორგანიზაცია დამანგრეველ მავნებლობას ეწეოდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, განსაკუთრებით საკოლმეურნეო მშენებლობაში. აჭარაში საუკეთესოდ ხარობს და იზრდება ძვირფასი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურები: ჩაი, ციტრუსები, თამბაქო და სხვ.

როგორც სასამართლო პროცესზე ნასვლებით გამოაშკარავდა, კონტრრევოლუციონერ არამზადებს უნდოდათ ამ კულტურების, რაც კოლმეურნეთა შეძლებული ცხოვრების უმძლავრესი წყაროა — დაზიანება და განადგურება.

ტროცკისტმა დეგენერატმა გიორგი რამიშვილმა სასამართლოში უჩვენა: „ჩაის პლანტაციებში სასუქი შემქონდა მავნებლური წესით. ჩავშალე ჩაის კრეფის ახალი მეთოდის გატარება. ვეწეოდით ციტრუსების დაგვიანებით შეწამვლასა და ნერგის გათოჭვასო".

აჭარის ასსრ მიწათმოქმედების ყოფ. სახ. კომისრის, გაიძვერა ილიას მეგრელიძის და მისი დამქაში დავით ძნელაძის ჩვენებებიდან დასტურდება, რომ პირსისხლიანი ფაშიზმის აგენტებ და ძმანი მათნი ყოველგვარ სისაძაგლეს სჩადიოდნენ, რათა ძირი გამოეთხარნათ საკოლმეურნეო მშენებლობისათვის. არამზადა მეგრელიძის ცინიკურმა ჩვენებამ შემზარავი სურათი გადაგვიშალა: „სალიბაურში ჩვენმა წარმომადგენელმა — ამბობდა ეს ქვემძრომი — ტროცკისტმა მავნებელმა ჭყონიამ დარგო ათასი ძირი ციტრუსოვანი, მაგრამ დარგო ისე, რომ მათი დიდი ნაწილი სრულიად განადგურდა. მეორე ადგილას 13 ათასი ნერგიდან განადგურდა და ამოსათხრელი გახდა 9 ათასი ძირი".

ჯაშუშ - მავნებელთა ბანდამ — ზექერია ლორთქიფანიძემ, ჯემალ ქიქავამ, გ. რამიშვილმა და სხვ-მა დიდი ზიანი მიაყენეს აჭარელ კოლმეურნეებს ჯიშიანი მესაქონლეობისა და მუშა-პირუტყვის განადგურებით. სოფელ დიდი-აჭარის კოლმეურნეობაში მათ დახოცეს 60 სული მუშა-პირუტყვი, სოფ. ვანძეების კოლმეურნეობაში 80 სული. სოფ. ღურტის კოლმეურნეობაში — 20 სული და ა. შ.

სასოფლო - სამეურნეო არტელის სტალინური წესდება საკოლმეურნეო ცხოვრების უმაღლესი კანონია. ეს არამზადები ცდილობდნენ ბოროტად დაემახინჯებინათ სტალინური წესდება და მით კოლმეურნეობანი დაშლის გზაზე დაეყენებინათ.

აჭარელი კოლმეურნეები, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, თავგამოდებით იბრძვიან ხალხის უბოროტესი მტრების მიერ ჩატარებულ მავნებლობის შედეგების აღმოსაფხვრელად, კოლმეურნეობათა განმტკიცებისა და კოლმეურნეთა შემდგომი მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის. აჭარის ასს რესპუბლიკამ სასახელოდ შეასრულა ციტრუსების მყნობის გეგმა, ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა, აქ თავს აღწევენ ჩამორჩენას თამბაქოს შეტეხაში და ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა სანიმუშოდ აიღონ ციტრუსოვანთა მოსავალი.

აჭარის კოლმეურნენი ებმებიან რა წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში, კისრულობენ ვალდებულებას ბრწყინვალე მაჩვენებლებით შეხვდნენ დიადი ოქტომბრის ოცი წლისთავს.

აჭარისა და მთელი საქართველოს მუშები, გლეხები და მშრომელი ინტელიგენცია, ულრმესი ზიზღით და უდიდესი სიძულვილით იხსენიებენ მავნებელთა, ჯაშუშთა, დივერსანტთა, სამშობლოს მოღალატეთა საზიზღარ ბანდას. გავსრისოთ ფაშიზმის სისხლიანი ქოფაკები — ასეთია ხალხის ერთსულოვანი მოთხოვნა. საბჭოთა მართლმსაჯულება გასრესს შხამიან გველისწიწილთა ამ ხროვას — ასეთია საბჭოთა ხალხის ნებისყოფა.

საბჭოთა აჭარის მშრომელნი მზად არიან საკუთარი მკერდით დაიცვან დიადი ოქტომბრის მონაპოვარნი. ისინი საბჭოთა მიწის ერთ გოჯსაც არავის დაუთმობენ. სოციალისტური სამშობლოს დაცვა წმინდათა-წმინდა მოვალეობაა—ეს ურყევად გამჯდარია საბჭოთა ხალხის ძვალსა და რბილში.

საქართველოს ბოლშევიკები და მთელი მშრომელი ხალხი თავის საყვარელი ხელმძღვანელის ამხანაგ ლ. ბერიას მეთაურობით კიდევ უფრო მჭიდროდ შეაკავშირებენ თავის რიგებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და დიდი სტალინის გარშემო და საბოლოოდ გაანადგურებენ და აღგვიან მშვენიერი წმიდა საბჭოთა მიწიდან ფაშისტურ არამზადების უკანასკნელ ნაძირალებს.

აჭარის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის პროცესიდან უნდა გავაკეთოთ ის დასკვნა, რომ უპირველეს ყოვლისა აუცილებელია კიდევ უფრო გავაძლიეროთ შემტევი ბოლშევიკური სიფხიზლე. ყოველ წუთს უნდა გვახსოვდეს კაპიტალისტური გარემოცვა და შევგწევდეს უნარი გამოვიცნოთ მტერი, რა ბაირაღითაც უნდა იყოს იგი შენიღბული.

შეუბრალებლად გავსრისოთ ხალხის უბოროტესი მტრები, პირსისხლიანი ფაშიზმის ქოფაკები!

კიდევ უფრო გავაძლიეროთ ბოლშევიკური სიფხიზლე!

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კომიტეტისა და სსრ კავშირის მიწსახკომის განმარტება

მოსკოვი, 26 სექტემბერი (საქდესი). სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კომიტეტმა და სსრ კავშირის მიწსახკომმა სპეციალური განმარტება დაუგზავნა ადგილებს.

სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საჩვენებელი ნატურალური ექსპონატები შერჩეულ უნდა იქნენ 3 კომპლექტად. ისინი უნდა ინახებოდნენ უშუალოდ იმ მეურნეობაში, სადაც შერჩეული არიან მეურნეობათა ხელმძღვანელობის (კოლმეურნეობის თავმჯდომარეთა, საბჭოთა მეურნეობის დირექტორთა) პასუხისმგებლობით და რაიმიწგანისა და მტს-ებისაგან გამოყოფილ სპეციალისტთა მუდმივი მეთვალყურეობით. ყველა აღნიშნული პირი ექსპონატის დაღუპვისა ან გაფუჭების შემთხვევაში პასუხს აგებს არსებული კანონების მიხედვით.

ამასთან ერთად, ადგილობრივი პირობებისა და იმ პრაქტიკული მიზანშეწონილობის მიხედვით, რომლითაც ყველაზე კარგად იქნება უზრუნველყოფილი ექსპონატების, განსაკუთრებით სწრაფად ფუჭებადი ექსპონატების დაცვა, ნება დართულია ყველა ექსპონატის შენახვის მოწყობა ცენტრალიზებულ საცავებში (რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო ან რაიონულ ცენტრში). დაშვებულია აგრეთვე ექსპონატების ცალცალკე შენახვა: ერთი კომპლექტისა — ცენტრალიზებულ საცავში და ორი კომპლექტისა იმ მეურნეობაში, სადაც შერჩეულ იქნა ექსპონატები.

იქ, სადაც მოწყობილი იქნება ცენტრალიზებული საცავები, მთელი პასუხისმგებლობა შესაფერ შენობის ამორჩევისა და მოწყობისათვის, მისი შენახვისათვის, დაცვის მოწყობისათვის, აგრეთვე მთელი პასუხისმგებლობა ექსპონატების უვნებლობისათვის ეკისრება რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისრებს, სამხარეო და საოლქო მიწგანების უფროსებს, ხოლო თუ ეს საცავები მოწყობილია რაიონებში რაიმიწგანის გამგეებს.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გასაგზავნად შერჩეულ ექსპონატთა (გარდა ცხოველებისა) გაფუჭებისა და დაღუპვის თავიდან ასაცილებლად კატეგორიულად აკრძალულია მათი გამოყენება ადგილობრივ გამოფენებზე.

ომი ჩინეთში

ჩინეთის ჯარების დიდი გამარჯვება

შანხაი, 25 სექტემბერი (საქდესი). სენტრალ ნიუსის სააგენტოს ცნობით, ჩინელთა ჯარებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს ლინციუს და ხუნიუანის (შანსის პროვინციის ჩრდილო - აღმოსავლეთის ნაწილი) რაიონში. **მერვე არმიის ახალ ჩასულმა ნაწილებმა ჯუ დეს სარდლობით და კავალერიის ნაწილებმა მა ჩანშანის სარდლობით მთიან რაიონში გაიტყუეს საკაგაკის მეხუთე დივიზიის და საკურაის ბრიგადის ნაწილები ხუნიუანსა, გუანლინსა და ლინციუს შუა და გაანადგურეს ისინი. ჩინური ცნობებით, იაპონელებს მოუკლეს 3 ათასი კაცი. გარდა ამისა, ტყვედ წაიყვანეს 2 ათასი კაცი და ხელთ იგდეს დიდი ნადავლი.** ჩინელი ჯარების ამ უდიდეს გამარჯვებას დიდ მნიშვნელობას აძლევენ, ვინაიდან მან შეაჩერა იაპონელთა შემდგომი წინსვლა სამხრეთისაკენ და თავიდან აიცდინა ჩინელი ჯარების მარცხენა ფრთის გარემოცვის საფრთხე ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზის სექტორში.

ნანკინში ჩამოაგდეს იაპონიის 4 თვითმფრინავი

შანხაი, 26 სექტემბერი (საქდესი). სენტრალ ნიუსის სააგენტო იუწყება, რომ ხანკოუს ბომბარდირების დროს იაპონიის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს აგრეთვე ხანიანსა და უჩანს. ერთი ყუმბარა ჩინელი ლტოლვილების ბანაკში ჩავარდა, სადაც მოჰკლა და დასჭრა 60 კაცი. მეორე ყუმბარა ჰოსპიტლის მახლობლად აფეთქდა. უკანასკნელ ცნობით, საჰაერო ბომბარდირების მსხვერპლთა რაოდენობა ხანკოუში 800 კაცს აღწევს, აქედან მოკლულია 200.

25 სექტემბერს დილის 9 საათზე იაპონელთა 29 თვითმფრინავი საათნახევრის განმავლობაში უშენდა ყუმბარებს ნანკინს. თვითმფრინავებს სროლა აუტეხა საზენიტო არტილერიამ. ყუმბარები დაუშინეს ქალაქის ყველაზე უფრო მჭიდრო დასახლებულ ნაწილს.

გაზეთ „დაგუნბაოში" გამოქვეყნებულია ოფიციალური კომუნიკე, სადაც აღნიშნულია, რომ იაპონიის ავიაციის ნანკინზე თავდასხმის დროს ჩინეთის საზენიტო არტილერიამ იაპონიის 4 თვითმფრინავი ჩამოაგდო.

ნანკინის ბომბარდირების შედეგი

ლონდონი, 25 სექტემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ნანკინელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ იაპონიის ავიაციის ნანკინზე თავდასხმის შედეგად 25 სექტემბერს მოჰკლეს და დასჭრეს ქალაქის მშვიდობიანი მოსახლეობის 100-ზე მეტი კაცი. მწყობრიდან გაყვანილია წყალსადენის სადგური და ძალსადგური. მცირე ზიანი მიაყენეს აგრეთვე წითელი ჯვრის საავადმყოფოს. ერთი ყუმბარა მოხვდა სენტრალ ნიუსის სააგენტოს მთავარი რედაქციის შენობას. შენობა ძლიერ დაზიანდა, დაჭრილია 3 თანამშრომელი, ქალაქის ცენტრში დანგრეულია 3 უბანი.

სააგენტოს კანტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ იაპონიის რამდენიმე თვითმფრინავმა 25 სექტემბერს ყუმბარები დაუშინა ჩინეთის სადარაჯო გემებს მდინარე სიძიახის შესართავთან, მაკაოს რაიონში. ყუმბარები გემებს არ მოხვედრია, მაგრამ მათ დაანგრიეს ჩინელთა სახლები სანაპიროზე. მოკლულია მრავალი მცხოვრები. 25 სექტემბერს დღისით იაპონელთა თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს რამდენიმე სოფელს ბოკატიგრისის (კანტონის რაიონში) ფორტების მახლობლად.

იაპონელთა მტკიცება ჩინელების „სამხედრო" ზარალის შესახებ კანტონზე თავდასხმის დროს ეხება დროებით ჰოსპიტალის დანგრევას, რომელიც მდებარეობს ქალაქის ჩრდილო ნაწილში. ყუმბარის აფეთქებით ჰოსპიტალში მოკლულია 20 კაცი.

ჩინელი ნაწილების გმირული ბრძოლა შანხაის ფრონტზე

შანხაი, 24 სექტემბერი (საქდესი). იაპონიის ბეჭვდითი სიტყვის ბიურო შანხაიში აღნიშნავს, რომ შანხაის ფრონტზე „იაპონიის ჯარებმა ცოტა წინ წაიწიეს. ჩინელი ჯარები მეტად შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევენ მათ და ამის გამო იაპონიის ჯარები ნელა მიიწევენ წინ".

იაპონიის ჯარებმა დაიკავეს ცანჯოუ

ტოკიო, 25 სექტემბერი (საქდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 24 სექტემბერს იაპონიის ჯარებმა დაიკავეს დიდი სადგური ცანჯოუ, ტიანძინ-პუკოუს რკინიგზაზე.

გაზეთი „ნიცი-ნიცი" სწერს, რომ ბაოდინისა და ცანჯოუს აღებასთან ერთად უახლოეს მომავალში განზრახულია შეიქმნას „თვითმმართველობის ერთიანი ადგილობრივი ორგანო", რომელიც მომსახურებას გაუწევს ჩრდილო ჩინეთის ყველა რაიონს, რაც უკვე დაკავებულია იაპონიის ჯარების მიერ, ბეიპინისა და ტიანძინის ჩათვლით. ამავე დროს დააჩქარებენ ღონისძიებებს ჩრდილო ჩინეთის მოსაქცევად იაპონიის ბანკის სავალუტო სისტემაში.

იაპონელთა ცნობით, შანხაის ფრონტებზე, 24 და 25 სექტემბერს ლოდიანის სექტორში გრძელდებოდა სისხლისმღვრელი ხელჩართული ბრძოლა. 24 სექტემბერს იაპონელმა ჯარებმა თითქოს დაიკავეს სოფელი იანძიაძე, ხოლო 25 სექტემბერს — სიაოტანძი, ჯანძიაძე და ტაოძიაძე, ჩინელთა პოზიციების მარცხენა ფრთაზე.

ფაშისტური ჯაშუშური ორგანიზაციის აღმოჩენა მადრიდში

ვალენსია, 26 სექტემბერი (საქდესის სპეცკორი). გენერალმა მიახამ გადასცა ჟურნალისტებს ფართო ჯაშუშური ფაშისტური ორგანიზაციის აღმოჩენის დაწვრილებითი ცნობები მადრიდში.

ეს ორგანიზაცია დიდი ხანია მუშაობდა მადრიდში. მის სათავეში იდგნენ ერთი ესპანელი და ერთი კუბელი. პირველი დაპატიმრებულია, მეორე—რამდენიმე ხნის წინათ გადასახლებულ იქნა ესპანეთში ჩასვლისთანავე. ამ ფაშისტური ორგანიზაციის ერთერთი ჯგუფი აგროვებდა პერსონალს სხვადასხვა თანამდებობისათვის, როდესაც ფაშისტები მადრიდს დაიკავებდნენ. იგი ეძიებდა აგრეთვე საშუალებებს იმისათვის, რათა კავშირი გაება ფაშისტებთან მეამბოხეების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, მათთვის ყოველგვარი ცნობის გადასაცემად.

ორგანიზაციის მეორე ჯგუფს ეწოდებოდა „თეთრი ფრთა", მასში უმთავრესად შედიოდნენ ფაშისტები, რომელნიც იმალებოდნენ უცხოეთის მისიებში და განსაკუთრებით ჩილის საელჩოში.

მესამე ჯგუფში შედიოდნენ მხოლოდამხოლოდ სამხედროები. ეს ჯგუფი უნდა გამოსულიყო რესპუბლიკელთა ზურგში, როცა ფაშისტი მეამბოხენი იერიშს მიიტანდნენ მადრიდზე.

ორგანიზაციის დაპატიმრებულ მეთაურთა შორის არის ერთი კომერსანტი, ჩილის ქვეშევრდომი, რომელსაც უპოვნეს ბრუნეტეს გეგმები და სხვა დოკუმენტები. იგი აგროვებდა ახალ წევრებს, აძლევდა მათ პროდუქტებს თავის მაღაზიაში და მაღალ პოსტებს ჰპირდებოდა მეამბოხეების მიერ მადრიდის აღების შემდეგ.

ორგანიზაციის მეორე მეთაური, არგენტინის საელჩოს მოსამსახურე ჯერ არ არის დაპატიმრებული. მესამე მეთაური, სამხედრო ქარხნების ინჟინერი, არტილერიის ლეიტენანტი, რომელიც 6 თვეს არ გამოსულა სახლიდან, წარმოადგენს როგორც სჩანს, ორგანიზაციის „ტვინს". მას უპოვნეს დოკუმენტები და შიფრები. იგი დააპატიმრეს სხვა 13-თან ერთად, იმ დროს, როცა ისინი ისმენდნენ რადიოგადაცემას სალამანკიდან.

დაპატიმრებულია აგრეთვე მეორე რანგის კაპიტანი კორნეხო, დიქტატურის დროს ყოფილი სამხედრო მინისტრის ძმა, აგრეთვე მადრიდის სატელეგრაფო სამმართველოს ყოფილი უფროსი, ამჟამად—არგენტინის საელჩოს მოსამსახურე.

ჯერჯერობით სულ დაპატიმრებულია ფაშისტების 10 მეთაური.

ორგანიზაციის რიგითი წევრებიდან ჯერჯერობით იუწყებიან 100 კაცის დაპატიმრების შესახებ. დაპატიმრებულთა სრული სია ამ დღეებში გამოქვეყნდება.

კომპარტიის ორგანო „ფრენტე როხო" მოითხოვს „მეხუთე კოლონის" სრულ მოსპობას.

საფრანგეთის სახალხო ფრონტის ნაციონალური კომიტეტის მიმართვა

პარიზი, 26 სექტემბერი (საქდესი). სახალხო ფრონტის ნაციონალურმა კომიტეტმა, მომავალ კანტონალურ არჩევნებთან დაკავშირებით, მოწოდებით მიმართა სახალხო ფრონტში შემავალ პარტიებს. კომიტეტი მოუწოდებს სახალხო ფრონტის ყველა პარტიას, რათაც უნდა დაჯდეს, შეინარჩუნონ შეთანხმება, რომლის მეოხებითაც დეპუტატთა პალატაში მიაღწიეს მტკიცე და საიმედო უმეტესობას, რომელმაც შესაძლო გახადა ჩამოყალიბებულიყო ბლიუმის მთავრობა, შემდეგ კი შოტანის მთავრობა. მოწოდებაში აღნიშნულია, რომ სახალხო ფრონტში შემავალი პარტიები ინარჩუნებენ თავიანთი იდეების პროპაგანდის თავისუფლებას, მაგრამ ისინი გაერთიანებული არიან სოციალური კანონმდებლობის დაცვისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ინტერესებით. დასასრულ სახალხო ფრონტის ნაციონალური კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ კანტონალური არჩევნების პირველ ტურში უნდა მოერიდონ მკაცრ გამოსვლებს სახალხო ფრონტის პარტიათა ცალკეული კანდიდატების წინააღმდეგ, და რომ საჭიროა სახალხო ფრონტის პოლიტიკისა და პროგრამის დაცვა. არჩევნების მეორე ტურში საჭიროა უმეტესობის უზრუნველყოფა სახალხო ფრონტის კანდიდატის სასარგებლოდ დისციპლინის დაცვითა და ცალკეულ კანდიდატურათა მოხსნით.

ბელორუსიის სამხედრო ოლქის ჯარების პარადი

მანევრების რაიონი, 26 სექტემბერი (საქდესი). 26 სექტემბერს დილიდან ქალაქ №-ის იქით მდებარე უზარმაზარი მინდვრისაკენ თავს იყრიან ბელორუსიის სამხედრო ოლქის ჯარები, რომელნიც მანევრებში მონაწილეობდნენ.

მსროლელებთან, არტილერიის ტრანსპორტთან, ტანკებთან, ცხენოსან ჯართან მორთული ავტომანქანებითა და ურმებით დაუსრულებელ ნაკადად მიედინებიან პარადისაკენ ბელორუსიის სს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლები.

თვალუწვდენელი მინდორი ჯარებმა დაიკავეს. აქ წარმოდგენილია ყველა სახის იარაღი.

— საბჭოთა ხალხს აქვს რა უნდა დაიცვას, ჰყავს ვინ უნდა დაიცვას და აქვს რითი უნდა დაიცვას.

ეს ლოზუნგი უზარმაზარი ალისფერი ასოებით წარწერილი, ამშვენებს მინდვრის ცენტრს. ტრიბუნის პირდაპირ არის ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის, მოლოტოვის, ვოროშილოვის, კაგანოვიჩის, ეჟოვის, დიდი პორტრეტები.

თორმეტი საათია. თავდაცვის სახალხო კომისარი ამხ. ბელოვის თანხლებით შემოუვლის ჯარებს. წითელი არმიისადმი საყვარელი ბელადის მისალმების პასუხად, მეომრები და მეთაურები უპასუხებენ მქუხარე „ვაშათი". შორს გაისმის მძლავრი ჰანგები „ინტერნაციონალისა", რასაც ასრულებს ნაკრები ორკესტრი.

ტრიბუნაზე ადის თავდაცვის სახალხო კომისარი, საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. ვოროშილოვი. მასთან ერთად ტრიბუნაზე ადიან ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვოლკოვი, ბელორუსიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. კოვალიოვი, საკ. კ. პ. (ბ) დასავლეთის ოლქკომის მდივანი ამხ. კოროტჩენკოვი, დასავლეთის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ბიდინსკი, ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი ამხ. მეზისი.

ცალკე ტრიბუნა უკავიათ ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის სამხედრო დელეგაციებს.

მოედანზე სიჩუმე ჩამოვარდება. ყველანი უდიდესი ყურადღებით ისმენენ ამხ. ვოროშილოვის სიტყვას. სახალხო კომისრის სიტყვა არაერთხელ იქნა შეწყვეტილი მქუხარე „ვაშათი".

სიტყვებით გამოდიან ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვოლკოვი და ბელორუსიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი ამხ. ბელოვი.

ორკესტრის მხნე ჰანგებში იწყება საზეიმო მარში, მუშურ-გლეხური წითელი არმიის მრისხანე მეომრები ათასეულებად მოდიან. ლურჯ და შავ კომბინეზონებიანი მიაბიჯებენ პარაშუტისტები. შაშხანებ მომარჯვებულნი ტრიბუნას ჩაუვლიან საჰაერო დესანტის მონაწილენი, რომლებსაც აღტაცებით მიესალმებიან. ასრულებენ საავიაციო მარშს.

ზემოდ, ჰაერში ძლიერდება მოტორების გუგუნი — დიდებული მწყობრით მისრიალებენ თვითმფრინავები. ჩნდებიან ტანკები. განუწყვეტელ კონვეიერად მიაქვთ მარჯვე ტანკისტებს ფოლადის სიმაგრენი.

ამ, თავის ძლიერებით უჩვეულო, პარადით დამთავრდა ბელორუსიის სამხედრო ოლქის საბრძოლო გამოცდა.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში

I. ჩინეთის საელჩოს ნოტა

ა. წ. 25 სექტემბერს ჩინეთის რესპუბლიკის საელჩომ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს გამოუგზავნა შემდეგი ნოტა:

„ჩინეთის საელჩოს პატივი აქვს მიაქციოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ყურადღება მშვიდობიანი მოსახლეობის, ლტოლვილების, სანიტარული რაზმებისა და წითელი ჯვრის რაზმების და კულტურულ დაწესებულებათა საჰაერო ბომბარდირებაზე, რასაც ახდენს იაპონიის აგრესორი შეუზღუდავად და განურჩევლად იმ რაიონებში, რომლებიც დიდად არიან დაშორებულნი ბრძოლების ასპარეზს.

ამა წლის ზაფხულზე იაპონელთა შემოსევის განახლების დროიდან, იაპონელები, არღვევენ რა საერთაშორისო სამართალსა და მორალს, განზრახ ისწრაფვიან განახორციელონ პრაქტიკაში ტოტალიტარული ომის ბარბაროსული დოქტრინა. ნანკაის უნივერსიტეტის დანგრევა ტიანძინში — დაწესებულებისა, რომელიც ცნობილია მის მიერ მეცნიერებაში შეტანილი განძით, ასურათებს იაპონიის ომს ჩინეთის კულტურის წინააღმდეგ, ლტოლვილთა ბომბარდირება, რომელნიც ელოდებიან მატარებლებს შანხაის სამხრეთ სადგურზე, გვიჩვენებს, თუ რა ნაკლებად უწევს ანგარიშს იაპონია უდანაშაულო დაუცველ ქალებსა და ბავშვებს. კერძოდ, უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში კანტონის ძლიერმა ბომბარდირებამ დაანგრია მშვიდობიანი მშრომელებით დასახლებული მთელი უბნები და დახოცა ათასობით ადამიანები. ნანკინში—დედაქალაქში იაპონელთა ყუმბარმტყორცნები თავის გაფრენების დროს რაც დღითი დღე მეორდება, ისწრაფვიან მოახდინონ ასეთივე შეუბრალებელი ნგრევა. იაპონელთა სარდლობამ საელჩოებისა და მისიების ევაკუაციაც კი მოითხოვა, რათა იაპონიას შეეძლოს განახორციელოს თავისი მიზანი — ჩინეთის დედაქალაქის სრული მოსპობა.

ბარბაროსობის ამგვარი აქტები მთელი სიცხადით აკრძალულია ომის შესახებ არსებული საერთაშორისო კანონების კოდექსით, რომლის შექმნას ცივილიზაციამ ბევრი ძალღონე მოახმარა.

მსოფლიო დღეს ერთობ მჭიდროდ არის გადახლართული, რომ შეიძლებოდეს მისი დაყოფა მოჩვენებით ნაწილებად. ის, რაც ამჟამად შორეულ აღმოსავლეთში ხდება, ხვალ შეიძლება მოხდეს მსოფლიოს ყოველ სხვა ნაწილში, ვინაიდან იაპონიის ომი ისე, როგორც მას იაპონიის სამხედრო წრეები აწარმოებენ, არის არა მარტო ომი ჩინეთის წინააღმდეგ, არამედ ომიც თვით ცივილიზაციის წინააღმდეგ. თუ კაცობრიობა უპროტესტოდ აუხვევს გვერდს ასეთ ბარბაროსულ მოქმედებებს, ამით მთელი კაცობრიობა დაზარალდება.

ამიტომ ჩინეთის საელჩოს, თანახმად ჩინეთის რესპუბლიკის მთავრობის ინსტრუქციებისა, პატივი აქვს მიაქციოს საბჭოთა მთავრობის ყურადღება იმ სერიოზულ შედეგებზე, რაც გამომდინარეობს ჩინეთში იაპონელთა საომარი მოქმედების ბარბაროსული ხასიათიდან და რაც ეხება მთელ კაცობრიობას, და სთხოვოს, რათა საბჭოთა მთავრობამ მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ ამგვარ არაკულტურულ და არაადამიანურ მოქმედებათა სწრაფად შეწყვეტას".

II. ნოტა სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლისა იაპონიაში ამხ. სლავუცკისა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრს ბ-ნ ხიროტას

ა-წ. 26 სექტემბერს სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა იაპონიაში ამხ. ი. მ. სლავუცკიმ, სსრ კავშირის მთავრობის დავალებით, იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრს ბ-ნ ხიროტას გაუგზავნა შემდეგი ნოტა:

„ბატონო მინისტრო,

ა-წ. 19 სექტემბერს შანხაიში სსრ კავშირის გენერალური კონსულის მოვალეობის ამსრულებელმა ბ-მა სიმანსკიმ იაპონიის ფლოტის მე-3 ესკადრის სარდლის ადმირალ ჰასეგავასაგან მიიღო ცნობა, რომ იაპონიის სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ძალებს განზრახვა აქვთ, დაწყებული 21 სექტემბრის შუადღიდან, დაუშინონ ყუმბარები ჰაერიდან ქ. ნანკინს და მის მიდამოებს და მიიღონ სხვა სამხედრო ზომები მის წინააღმდეგ, და ამასთან დაკავშირებით, აგრეთვე წინადადება სსრ კავშირის ელჩისადმი ჩინეთში ბ-ნ ბოგომოლოვისადმი — საელჩოს მთელ პერსონალთან და ნანკინში მცხოვრებ საბჭოთა მოქალაქეებთან ერთად გავიდეს ნანკინიდან მეტი უშიშროების რაიონებში.

ამ ცნობის მიღებისთანავე სსრ კავშირის გენერალური კონსულის მოვალეობის ამსრულებელმა შანხაიში ბ-მა სიმანსკიმ, ჩინეთში სსრ კავშირის ელჩი ბ-ნ ბოგომოლოვის დავალებით, იაპონიის გენერალურ კონსულს შანხაიში ბ-ნ ოკამოტოს განუცხადა პროტესტი იაპონელთა სამხედრო-საზღვაო ძალების უკანონო მოქმედებათა წინააღმდეგ, აცნობა, რომ სსრ კავშირის საელჩო მთელი თავისი შემადგენლობით რჩება ნანკინში და გააფრთხილა, რომ სსრ კავშირის მთავრობა იაპონიის მთავრობას აკისრებს მთელ პასუხისმგებლობას შედეგებისათვის, რაც შეიძლება მოჰყვეს სსრ კავშირის საელჩოსათვის ნანკინში და საბჭოთა მოქალაქეებისათვის იაპონელთა სამხედრო-საჰაერო ძალების უკანონო მოქმედებას.

ბ-ნი ოკამოტო შეჰპირდა ამ განცხადების გადაცემას იაპონიის მთავრობისათვის, მაგრამ განიმეორა ადმირალ ჰასეგავას წინადადება ნანკინიდან საბჭოთა საელჩოს ევაკუაციის შესახებ და ხაზი გაუსვა, რომ იაპონელთა ხელისუფალნი არავითარ პასუხისმგებლობას არ იკისრებენ შესაძლო უბედური შემთხვევებისათვის.

22 ამა სექტემბერს იაპონიის საზღვაო სამინისტრომ ოფიციალურად აცნობა სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ატაშეს იაპონიაში ბ-ნ კოვალიოვს რომ ვითომ, 22 სექტემბრიდან ნანკინზე დაიწყება აფრენა ჩინელთა თვითმფრინავებისა, რომელთაც იაპონელთა გამოსაცნობი ნიშნები ექნებაო.

23 ამა სექტემბერს იაპონიის კონსულმა შანხაიში ბ-ნმა ვაკასუკიმ სსრ კავშირის გენერალურ საკონსულოს აცნობა, თითქოს განზრახულია ნანკინის საბჭოთა საელჩოს ბომბარდირება ჩინეთის თვითმფრინავების მიერ, რომლებიც იაპონელთა თვითმფრინავებად იქნებიან შენიღბულიო.

ნანკინის მრავალგზისი ბომბარდირება იაპონიის ავიაციის მიერ, რასაც მოჰყვა დიდძალ ადამიანთა მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში და მთელ რიგ შენობათა და ნაგებობათა დანგრევა, რომელთაც არავითარი სამხედრო მნიშვნელობა არ აქვთ, გვაიძულებს მოველოდოთ, რომ ამ ბომბარდირების განგრძობა ემუქრება აგრეთვე სსრ კავშირის საელჩოს, ელჩისა და მისი თანამშრომლების სიცოცხლეს, აგრეთვე სსრ კავშირის საელჩოს ქონებას. საბჭოთა მთავრობას მით უფრო მეტი საფუძველი აქვს მოელოდეს იაპონიის სამხედრო ძალების ღონისძიებათა ამგვარ შედეგებს, რომ როგორც ცნობილია, იაპონიის სამხედრო ხელისუფალთა მიერ სსრ კავშირის გენერალური საკონსულოებისათვის ტიანძინსა და შანხაიში და სსრ კავშირის საკონსულოსათვის კალგანში უკვე შექმნილი იყო შეუძლებელი პირობები მათზე დაკისრებულ ფუნქციების ნორმალური შესრულებისათვის.

სთვლის რა უკანონოდ და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპების საწინააღმდეგოდ იაპონიის სამხედრო ხელისუფალთა მოქმედებებს ნანკინის მიმართ და მათ მიერ წარმოდგენილ უკანონო მოთხოვნას ნანკინიდან სსრ კავშირის საელჩოს ევაკუაციის შესახებ, საბჭოთა მთავრობა გადაჭრილ პროტესტს აცხადებს იაპონიის სამხედრო ძალების იმ მოქმედებათა წინააღმდეგ, რაც უპრეცედენტოა საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში, ადასტურებს, რომ სსრ კავშირის საელჩოს ჩინეთში მიეცა მითითება შემდგომაც დარჩეს თავის პოსტზე და აფრთხილებს იაპონიის მთავრობას, რომ იგი მას ჩასთვლის სავსებით პასუხისმგებლად ამ უკანონო მოქმედებათა ყველა შედეგისათვის.

მიიღეთ და სხვ.".

დამთავრდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილთა ტაქტიკური ვარჯიშობა

ვარჯიშობის რაიონი, 25 სექტემბერი (საქდესის სპეც. კორ.). გუშინ დამთავრდა დაძაბული „საომარი" მოქმედება, რომელიც რამდენიმე დღეს გრძელდებოდა.

ვარჯიშობის უკანასკნელის წინადღეს და უკანასკნელ დღეს „ლურჯები" სჭარბობდნენ რა „წითლებს" ძალებით, ანვითარებდნენ „საბრძოლო" ოპერაციების პირველ დღეთა წარმატებას. მათ შორის წაიწიეს წინ. მაგრამ უკანასკნელ დღეს ვითარება მკვეთრად შეიცვალა. „წითლებმა", რომელნიც გამაგრდნენ № სიმაღლეებზე, თავი მოუყარეს იქ მძლავრ სასროლო საშუალებებს, რომლებითაც შეაჩერეს „მტრის" შემოტევა. ამასობაში „წითლების" კავალერია, რომელსაც ზურგს უმაგრებდა არტილერია, ღრმა შემოვლით ზურგში მოექცა „მოწინააღმდეგეს" და იერიში მიიტანა „ლურჯების" ფლანგებზე, რომლებიც ძალზე „შეფერთხა". „ლურჯები" აღმოჩნდნენ მათი ნაწილების „განადგურების" „საფრთხის" წინაშე.

დამთავრდა ვარჯიშობა, რომლის დროს ორივე მხარის მეომრებმა და მეთაურებმა დიდი ინიციატივა, გაბედაობა, გმირობა და სიმამაცე გამოიჩინეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარის კონტრრევოლუციური საააჯანყებო, ჯაშუშურ-ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის მონაწილეთა პროცესი

25 სექტემბრის საღამოს სხდომა

ბრალდებულ ხ. უ. ძნელაძის დაკითხვა

ბრალდებული ხასან ძნელაძე დაპატიმრებამდე საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მდივნის მოადგილე იყო. 1936 წელს ჩაება კონტრრევოლუციურ-საააჯანყებო ფაშისტურ-ტერორისტულ ორგანიზაციაში და დაიწყო მავნებლური მუშაობა უმთავრესად სოფლის მეურნეობის ხაზით. საბრალდებო დასკვნის ტექსტის მიხედვით ხ. ძნელაძემ თავი სცნო მთლიანად დამნაშავედ.

თავმჯდომარე — მოახსენეთ სასამართლოს, ვინ ჩაგაბით კონტრრევოლუციურ - ტერორისტულ ორგანიზაციაში, სად და რა სახის მავნებლობა ჩაიდინეთ და რა იყო თქვენი მიზანი?

ძნელაძე — საბრალდებო დასკვნაში აღნიშნულია ჩემი დანაშაულობანი, მაგრამ მე შემიძლიან კიდევ განვმარტო შემდეგი: 1936 წლის მარტში მე დამნიშნეს საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მდივნის მოადგილედ. სამივლინებო ფულის მისაღებად შევიარე ზექერია ლორთქიფანიძესთან. ამ პასუხსაგებ თანამდებობაზე პირველად მიხდებოდა მუშაობა. ზექერია ლორთქიფანიძემ რჩევა-დარიგება მომცა და აშკარად მითხრა, აჭარაში არსებობს კონტრრევოლუციური ფაშისტურ ტერორისტული ორგანიზაცია, რომლის მიზანია აჭარა საქართველოს ჩამოაშოროს და უცხოეთის ერთ-ერთ სახელმწიფოს შეუერთოს. საუბრის დასასრულს, ზ. ლორთქიფანიძემ წინადადება მომცა დამეწყო მუშაობა აღნიშნულ ორგანიზაციაში. მე პირველად გამიკვირდა, მაგრამ წინადადება ისეთ პირობებში მომცა, რომ უარის თქმა ველარ შევძელი. ვიფიქრე, თუ ზ. ლორთქიფანიძე კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაშია, მე რატომ უნდა ვიყო განდგომილი-მეთქი.

თავმჯდომარე — შეგნებულად შედით კონტრრევოლუციურ - ჯაშუშურ ორგანიზაციაში, თუ ზექერია ლორთქიფანიძემ ჩაგითრიათ?

ძნელაძე — მე არც ისე უვიცი ვარ, პოლიტიკურად საკმაოდ მომზადებულად მიმაჩნია თავი. მეც თანავუგრძნობდი ზექერია ლორთქიფანიძის ჯგუფს და ამიტომ პირველი წინადადებისთანავე დავეთანხმე. ლორთქიფანიძემ მითხრა, შენ ქობულეთში რომ ჩახვალ, კოლმეურნეობებში მოსინჯე ნიადაგი, მეც აქედან წარმომადგენელს გამოგიგზავნი და რაც შეიძლება მეტი ხალხი ჩააბი კონტრრევოლუციურ-ფაშისტურ ორგანიზაციაშიო.

1936 წელს არავითარი მავნებლური მუშაობა არ მიწარმოებია. ეს პერიოდი, ასე ვთქვათ, მოსამზადებელი იყო. გავიცანი კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, დავუახლოვდი მათ და აი, როცა ქობულეთში მიმდინარე წლის იანვარში ჩამოვიდა ოსმან მოწყობილი, მან მითხრა, შენ ზექერიასთან მოლაპარაკება გქონია და რას შვრები იმ საქმეზეო. ოსმან მოწყობილის დავალებით შევუდექი ჩაის კოლმეურნეობებში მავნებლობას. ჩემი მავნებლური მუშაობის შედეგად შეფერხდა ჩაის შეკრეფა, ნიადაგს 20-25 სანტიმეტრის ნაცვლად 10-11 სანტიმეტრის სიღრმეზე ვაბარვინებდით. რამდენიმე კოლმეურნეობაში ჩავშალე ჩაის განუწყვეტელი კრეფა. ჩემივე დავალებით ადგილი ჰქონდა კრეფის დროს ბუჩქების გამოტოვებას. იანვრიდან მაისამდე მე შევძელი კონტრრევოლუციურ ფაშისტურ-დივერსიულ ორგანიზაციაში ჩამეთრია 13 პატიოსანი და შრომისმოყვარე კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

თავმჯდომარე — დაასახელეთ, რომელ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები ჩააბით ფაშისტურ ორგანიზაციაში.

ძნელაძე — კონტრრევოლუციურ ტერორისტულ - ფაშისტურ - დივერსიულ ორგანიზაციაში ჩავაბი ქობულეთის რაიონის ლენინის, ორჯონიკიძის, მარქსის, ეჟოვის, მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, კოლმეურნეობა „პირველი მაისის“, „მუშა და გლეხის“ და სხვ. თავმჯდომარეები. ჩემს მიერ გადაბირებული კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები ეწეოდნენ ძირგამომთხრელ მუშაობას. ქობულეთის რაიონმა მაისში ჩვენი მავნებლური მუშაობის შედეგად ქვეყანას ორმოცი ტონა ჩაი დააკლო. ივნისის გეგმა 67 პროცენტით შესრულდა, ივლისისაც ასევე ჩაიშალა.

ჩვენს მიზანს შეადგენდა მავნებლობით, ჯაშუშობით, ტერორისტული აქტების მოწყობით და დივერსიით შევვესუსტებინა საბჭოთა ხელისუფლების სიძლიერე. კაპიტალისტური ქვეყნების მიერ ომის გამოცხადებისთანავე მოგვეწყო ზურგში აჯანყება.

სახელმწიფო ბრალმდებელი — დაასახელეთ ის პირები, რომლებიც ჩააბით კონტრრევოლუციურ-დივერსიულ ორგანიზაციაში.

ძნელაძე — ქობულეთის რაიონში მე და ოსმან მოწყობილმა კონტრრევოლუციურ-ჯაშუშურ ორგანიზაციაში ჩავაბით შავიშვილი, ჯუმიძე, ჯ. შუბლაძე, ხ. გოგიტიძე, ს. მენაბდე, მ. ჭინჭარაძე, მ. აფაქიძე, მ. მოწყობილი, ილიას დუმბაძე და სხვ.

თავმჯდომარე — შეადგენდა თუ არა თქვენს ამოცანას ჩაის კულტურის განადგურება?

ძნელაძე — რასაკვირველია, შეადგენდა. ამ მიზნის მისაღწევად, ზემოთ დასახელებულ კოლმეურნეობებში დიდი მავნებლური მუშაობა გავწიეთ. ჩავშალეთ ჩაისათვის ნიადაგის მომზადების გეგმები, რის გამო დაეცა მოსავლიანობა და შემცირდა შრომადღის ღირებულება.

თავმჯდომარე — როდის გაუგზავნეთ კოლმეურნეობებს ევკალიპტის ნერგები?

ძნელაძე — ევკალიპტის 3.500 ნერგი ჯანსაღი იყო, მაგრამ ჩემს მიერ გადაბირებულმა კოლმეურნეობების თავმჯდომარეებმა ჩემივე დავალებით ნერგი მავნებლურად დარგეს, და 80-85 პროცენტი გახმა.

თავმჯდომარე — ქობულეთში თქვენს მიერ მოწყობილ კონტრრევოლუციურ - ტერორისტულ ორგანიზაციაში ვინ მუშაობდა აქტიურად, ვინ ასრულებდა დავალებებს? დაასახელეთ ყველანი.

ძნელაძე — აქტიურად მუშაობდნენ ჯუმიძე, ილიას დუმბაძე, ლ. მეგრელიძე.

სახელმწიფო ბრალმდებელი — როდის გაიცანით ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის ყოფილი დირექტორი მეგრელიშვილი?

ძნელაძე — ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის ყოფილმა დირექტორმა გამიცნო, თავის კაბინეტში მიმიწვია და მითხრა: შენ ზექერია ლორთქიფანიძის მიერ გამოყოფილი ხარ აჭარის კონტრრევოლუციური დივერსიულ - ფაშისტური ორგანიზაციის რწმუნებულად ქობულეთის რაიონშიო.

სახელმწიფო ბრალმდებელი — პრაქტიკულად როგორ ეწეოდით მავნებლობას?

ძნელაძე — 13 კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჩავაბი მავნებლურ ორგანიზაციაში, მათ დავალებას ვაძლევდი და ისინიც ასრულებდნენ. მაგალითად, ჩემი დავალებით მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში ნაცვლად 20-25 სანტიმეტრისა ბარავდნენ 10-11 სანტიმეტრის სიღრმეზე, რაც ჩაის ზრდას დიდად აფერხებდა. ამავე კოლმეურნეობაში ჩაი დროზე არ მოვკრიფეთ და რამდენიმე ჰექტარი გავაფუჭეთ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობა გამონაკლისს არ შეადგენს. ჩემს მავნებლურ გეგმებს ცამეტივე კოლმეურნეობის თავმჯდომარეები ასრულებდნენ, რის შედეგად ჩაიშალა გეგმები, დაეცა შრომადღის ღირებულება, რამაც გამოიწვია უკმაყოფილება კოლმეურნეთა მასებში.

თავმჯდომარე — აჯანყების მომწყობ ორგანიზაციას ქობულეთში თქვენც ხელმძღვანელობდით ხომ?

ძნელაძე — დიახ, მე ვხელმძღვანელობდი. აჯანყების მომწყობ ორგანიზაციაში შედიოდნენ ი. ჯუმიძე, შავიშვილი, ი. ტუღუში და დიასამიძე.

დამცველთა კოლეგიის წევრი — როგორ მოხდა, რომ ზექერია ლორთქიფანიძის წინადადებისთანავე ჩაებით კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში?

ძნელაძე — ზექერია ლორთქიფანიძეს ჩემზე მაინცდამაინც დიდი გავლენა არ მოუხდენია. მე შეგნებულად ჩავები ამ კონტრრევოლუციურ - ჯაშუშურ ორგანიზაციაში, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და კაპიტალიზმის რესტავრაციას.

ბრალდებულ ო. რ. რომანაძის დაკითხვა

ბრალდებული ოსმან რეჯების-ძე რომანაძე დაპატიმრებამდე კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო და კონტრრევოლუციური ორგანიზაციის დავალებით კოლმეურნეობაში მავნებლურ მუშაობას ეწეოდა. რომანაძემ თავი სცნო დამნაშავედ და თავისი კონტრრევოლუციურ - ტერორისტული მუშაობის შესახებ სასამართლოს განუცხადა:

— 1937 წლის იანვარში ჩემი სოფლის კოოპერატივის ხელმძღვანელმა გ. თავდიშვილმა ჩამაბა კონტრრევოლუციურ - ფაშისტურ ორგანიზაციაში. ჩემს და თავდიშვილის საუბარს ესწრებოდა ახმედ გუგუნავა, რომელმაც მითხრა, შენ არ შეშინდე, თავდიშვილისაგან დავალება მიიღე და იმუშავეო. იმავე დღეს თავდიშვილმა დამავალა ჩამეტარებინა კოლმეურნეობებში მავნებლური, დამანგრეველი მუშაობა. ჩავები კონტრრევოლუციურ - დივერსიულ ორგანიზაციაში და მავნებლურად გავაჭიანურე თესვის კამპანია, ბრიგადებს იარაღ - მანქანებს არ ვაწვდიდი, მუშა-საქონელს ვხოცავდით, არ ვაწარმოებდი ჩაის შეწამვლას, ცუდად მოვამზადე ორი ჰექტარი მანდარინის ნიადაგი, რომელიც არ გამოდგა, და 100 შრომადღე ტყუილუბრალოდ დაიხარჯა. არ დავარგვევინე ჩაის ნერგი ორ ჰექტარზე. ნიადაგის გადაბარვას ხელოვნურად ვაჭიანურებდი. შეგნებულად დავაკვლევინე კოლმეურნეობის ორი სული საქონელი, თვითნებურად გავყიდე შვიდი სული. კოლმეურნეობის საბარგო მანქანის რემონტისათვის მავნებლურად გავეცი 5.000 მანეთი, საიდანაც 1.050 მანეთი მივითვისე. კოლმეურნეთა შორის უკმაყოფილების გამოწვევის მიზნით შეძლებულებს ნება მივეცი საკარმიდამო ნაკვეთის გარდა სხვა ნაკვეთებზე დაეთესათ სიმინდი, ხოლო ვინც უფრო ღარიბი იყო, მათ ამის უფლება აღვუკვეთე.

თავმჯდომარე — მოახსენეთ სასამართლოს, თუ რა მავნებლობა გაატარეთ თქვენს კოლმეურნეობაში სიმინდის კულტურის მოსასპობად?

რომანაძე — დავაგვიანე თესვის კამპანია, არ შევარჩიე სათესლე სიმინდი, კოლმეურნეობას 67 ჰექტარი სიმინდის ნაცვლად მხოლოდ 56 ჰექტარი დავათესვინე.

სახელმწიფო ბრალმდებელი — რა დამოკიდებულებაში იყავი თავდიშვილთან?

რომანაძე — თავდიშვილთან ძალიან კარგი დამოკიდებულება მქონდა. მან ერთხელ მითხრა, კონტრრევოლუციურ - საააჯანყებო ორგანიზაციას ფული სჭირდება, და ჩვენ უნდა ვუშოვოთო. თავს დაესხი კოოპერატივს და ფული გაიტაცეო. მე ამაზე არ დავეთანხმე. ამ საუბრის შემდეგ, თუ არ ვცდები, ორმა კვირამ გაიარა და მართლაც გაიტაცეს კოოპერატივიდან 13.000 მანეთი... ერთ დღეს ერთმა გლეხმა მითხრა, — შენ არ იცი ფული ვინ მოიპარაო? არა მეთქი — მივუგე; მაშ მე ვიციო, და დაასახელა ოსმან და დურსუნ გოხიძეები—სოფელ წყავრიყის მცხოვრებნი. ამის შესახებ მე არავისთვის არაფერი მითქვამს.

სახელმწიფო ბრალმდებელი — თქვენის აზრით, ვინ გაიტაცებდა კოოპერატივიდან 13 ათას მანეთს?

რომანაძე — თავდიშვილი.

თავმჯდომარე — რას ისახავდით მიზნად, როცა მავნებლურ მუშაობას ეწეოდით?

რომანაძე — ჩემი და კონტრრევოლუციურ - ტერორისტული ორგანიზაციის სხვა წევრთა მიზანი ერთი და იგივე იყო — საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და კაპიტალიზმის აღდგენა.

ბრალდებულ ქიაზიმ ხასანის-ძე ბასილაძის დაკითხვა

ბრალდებული ქიაზიმ ხასანის-ძე ბასილაძე დაპატიმრებამდე სასოფლო - სამეურნეო ბანკის მმართველი იყო. 1933 წლიდან აქტიური მონაწილე იყო კონტრრევოლუციური ორგანიზაციისა, ხოლო 1935 წლიდან კავშირი ჰქონდა უცხოეთის ერთ-ერთ დაზვერვასთან, ეწეოდა მავნებლობას კოლმეურნეობათა და ფინანსების დარგში. წაყენებულ ბრალდებაში ბასილაძემ თავი დამნაშავედ სცნო.

თავმჯდომარე — ბრალდებულო ბასილაძე, მოახსენეთ სასამართლოს, სად, როგორ და რა პირობებში ჩაებით კონტრრევოლუციურ ფაშისტურ - ტერორისტულ - დივერსიულ ორგანიზაციაში.

ბასილაძე — 1932 წელს გზაში შემხვდა ზექერია ლორთქიფანიძე და მითხრა, ამ საღამოს ჩემთან სახლში მოდიო. საღამო ჟამს ზექერიასთან სახლში რომ მივედი, იქ დამხვდა ჯემალ ქიქავა. ზ. ლორთქიფანიძემ მითხრა, ჩვენ უკვე ჩამოყალიბებული გვაქვს ტერორისტულ-ფაშისტური ორგანიზაცია, რომლის წევრი შენც უნდა გახდეო. ამავე დროს ლორთქიფანიძემ ამიხსნა, თუ რა მიზნებს და ამოცანებს ისახავდა ეს ორგანიზაცია. გულმა გული იცნო. მე მას დავეთანხმე, მივიღე დავალებები და შევუდექი მის განხორციელებას. 1935 წელს დავალებული მქონდა გავმგზავრებულიყავი ქედაში. ეს დავალება შევასრულე და კონტრრევოლუციურ - დივერსიულ ორგანიზაციაში ჩავაბი ზ. ბერიძე, მ. დიასამიძე, ა. დიასამიძე, ფეიმიდ ხალვაში, მახმედ გიორგაძე და სხვ. ხოლო 1937 წელს ჩვენს ორგანიზაციაში ჩავაბით რაიაღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე ისმაილ ძნელაძე. მე ვიცოდი, რომ ქობულეთში ზექერია ლორთქიფანიძეს კონტრრევოლუციური მუშაობისათვის გამოყოფილი ჰყავდა ისმაილ მოწყობილი, ხულოში — დურსუნ ბეჟანიძე, მიწგანის ყოფილი გამგე გამრეკელიძე, ოსმან-აღა დავითიძე. ეს უკანასკნელი ლაპარაკობდა, ხულოში დიდ ძალას წარმოვადგენო.

ერთხელ ხულოში ჩამოვიდნენ ზექერია ლორთქიფანიძე და უცხოეთის დაზვერვის აგენტი. უცხოეთის დაზვერვის აგენტს გავაცანით ჩვენი საქმიანობა, პრაქტიკულად გადადგმული ნაბიჯები და მივიღეთ ახალი დავალებები. 1936 წლის ერთ-ერთ გამოსასვლელ დღეს ჯემალ ქიქავას ბინაში მოეწყო სადილი, რომელსაც დაესწრნენ ლორთქიფანიძე, ლაღიძე, ბარათაშვილი. მე გაგებული მქონდა, რომ ლაღიძე ყოფილი ფედერალისტი იყო, ხოლო ზექერია ლორთქიფანიძის გადმოცემით ისიც ვიცოდი, რომ ის ამჟამად კონტრრევოლუციურ - ფაშისტური ორგანიზაციის წევრი იყო და მავნებლობას ეწეოდა.

სასოფლო - სამეურნეო ბანკის ხაზით აპრილში მივიღეთ დაკრედიტების გეგმა, რომლის შესახებ ლორთქიფანიძემ მითხრა: ამ გეგმას რამდენიმე კვირას მიწსახკომში გააჩერებენ, შენ ამაზე არაფერი სთქვა, შემდეგ რომ გადმოგცემენ, მისი განხილვა შენც გააჭიანურე და ამრიგად კრედიტების გაცემა შეაფერხეო. მართლაც გეგმა მიწსახკომში 20-25 დღეს გააჩერეს, ცაკში 15 დღეს. შემდეგ მეც გავაჭიანურე მისი განხილვა, რის გამო აპრილის პირველი რიცხვების ნაცვლად კოლმეურნეობებმა კრედიტი მაისის დამლევს მიიღეს. ამან შეაფერხა სასოფლო - სამეურნეო კამპანიის ვადაზე დამთავრება და უკმაყოფილება გამოიწვია კოლმეურნეთა მასაში. მესაქონლეობის დარგში ჩემი მავნებლობა იმაში გამოიხატება, რომ 13.000 მანეთი კოლმეურნეობებს ოცი დღის დაგვიანებით მივეცი, ამით ჩავშალე ხულოს რაიონში ჯიშიანი ხბოების შესყიდვა.

მავნებლობის მიზნით კოლმეურნეებს უკანონოდ მივეცი ავანსი. ქედა-ხულოს რაიონებში ზექერია ლორთქიფანიძის დავალებით თამბაქოს გამხმარი ფოთოლი დაბალი ხარისხით გავუშვი. თოვლის დროს თამბაქო გარეთ ეწყო, საწყობები უნდა აგვეშენებინა, მაგრამ, მავნებლური მოსაზრებით, ეს არ გავაკეთეთ—დალპეს თამბაქო, რა გვენაღვლებათქო!

ზექერია ლორთქიფანიძისაგან გავიგე, ჩვენს კონტრრევოლუციურ ტერორისტულ - მავნებლურ დივერსიულ-ჯაშუშურ ორგანიზაციას დიდძალი ფული და იარაღი აქვსო. ქედის რაიონში იარაღის აღრიცხვა დავალებული ჰქონდა ზექერია ბერიძეს, რომელმაც ეს საქმე პირნათლად შეასრულა. — იარაღი არ დაგვაკლდება, — მეუბნებოდა ზექერია ლორთქიფანიძე, რაც გვაქვს, ის თუ არ გვეყო, უცხოეთის ერთ-ერთი დაზვერვისაგან მივიღებთო.

აქ ლაპარაკი იყო მომავალი მთავრობის პორტფელების განაწილებაზე, როგორც მახსოვს, ზექერია ბერიძემ მითხრა, შენ ვაჭრობის მინისტრად ხარ დასახელებულიო, მაგრამ შემდეგ ზექერია ლორთქიფანიძეს რომ შევეკითხე, მან მიპასუხა, — არა, კაცო, შენ სამხედრო მინისტრად ხარ დასახელებული, მაგრამ ჯერ ამაზე ლაპარაკი ადრეა და ამის შესახებ შემდეგ ვილაპარაკოთო.

კაპანაძე — შენ რომელი მინისტრობა გერჩია, სამხედრო თუ სავაჭრო?

ბასილაძე — მე სამხედრო სპეციალური განათლება არა მაქვს, ჩემთვის უფრო მიზანშეწონილი იყო სავაჭრო მინისტრის პორტფელი. (სიცილი დარბაზში).

თავმჯდომარე — თქვენი ოჯახიდან არის თუ არა ვინმე დაპატიმრებული?

ბასილაძე — მამაჩემი 1929 წელს გადაასახლეს კონტრრევოლუციური აგიტაციისათვის.

კაპანაძე — რას იტყვით საააჯანყებო გეგმის შესახებ?

ბასილაძე — ზექერია ლორთქიფანიძემ მითხრა, ჩვენ აჯანყების შესახებ ცნობას მივიღებთო. ეს იქნება საბჭოთა კავშირთან ომის დაწყების დროს ან მანამდეო. წინასწარ აღრიცხული გვაქვს — აჯანყების მომენტში რომელი ადგილები უნდა დავიკავოთო.

კაპანაძე — რამდენი კაცი ჩააბი ორგანიზაციაში?

ბასილაძე — ექვსი: მემედ დიასამიძე, აბდულ დიასამიძე, ხალვაში, გიორგაძე და სხვ.

კაპანაძე — რამდენჯერ ჩააბარე ანგარიში შენი მუშაობის შესახებ კონტრრევოლუციურ - ტერორისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელს?

ბასილაძე — ზექერია ლორთქიფანიძეს ჩემი მავნებლური მუშაობის შესახებ ინფორმაცია გავუკეთე ექვსჯერ.

26 სექტემბრის დილის სხდომა

26 სექტემბრის დილის სხდომაზე დამცველთა შუამდგომლობით რამდენიმე შეკითხვა მისცეს წინა სხდომაზე დაკითხულ ბრალდებულ ლაღიძეს.

თავმჯდომარე — ბრალდებულო ლაღიძე, უარყოფთ თუ არა თქვენ ქიქავას ჩვენებას, რომ შეყვანილი იყავით ტერორისტულ ორგანიზაციაში?

ლაღიძე — გადაჭრით უარვყოფ. მე არასოდეს არ ვყოფილვარ ტროცკისტულ - ტერორისტულ ორგანიზაციაში. ვმუშაობდი მხოლოდ „ბლოკის“ მიერ გამოყოფილ სამხედრო სექციაში.

თავმჯდომარე—(მიმართავს ბრალდებულ ქიქავას) ბრალდებულო ქიქავა, თქვენ სთქვით, რომ გრიგოლ ლაღიძე გამოყოფილი იყო ტერორისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელად. ადასტურებთ თუ არა ამ ჩვენებას?

ქიქავა — სავსებით ვადასტურებ. მართალია, გრიგოლ ლაღიძე ჩვენს მიერ გამოყოფილი იყო სამხედრო ორგანიზაციაში სამუშაოდ, მაგრამ იმ თათბირზე, რომელიც გამართა კალენიკე გოგიბერიძის სახლში, ალბათ ბრალდებული ლაღიძეც გაიხსენებს ამას, გადაწყდა, რომ აჯანყების დროს ლაღიძე ხელმძღვანელობას გაუწევდა ტერორისტულ ჯგუფს.

ბრალდებულ სულეიმან ბეჟანიძის დაკითხვა

თავმჯდომარე — ბრალდებულო ბეჟანიძე, მოახსენეთ სასამართლოს, სცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ თქვენს მიმართ წამოყენებულ ბრალდებებში?

ბეჟანიძე — ჩემს მიმართ წამოყენებულ ბრალდებებში თავს სავსებით დამნაშავედ ვცნობ.

თავმჯდომარე — მაშ გვიამბეთ, როგორ და რა პირობებში ეწეოდით კონტრრევოლუციურ - მავნებლურ მუშაობას.

ბეჟანიძე —სურვილი მაქვს გულწრფელად ვაღიარო მთელი ის დანაშაული, რომელიც მე ჩავიდინე ჩვენი ქვეყნისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. კონტრრევოლუციურ მუშაობაში ჩამაბეს რიზა ხოზრევანიძემ და ზექერია ლორთქიფანიძემ. ერთხელ მივედი ზექერიას ბინაზე. ჩემთან ერთად წამოვიდა რიზა ხოზრევანიძეც. დავიწყეთ საუბარი სხვადასხვა ამბებზე. ზექერია ლორთქიფანიძემ გვითხრა, ფაშიზმი იმარჯვებს და მალე ჩვენი, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლების აღსასრული იქნებაო. მე ძალიან გამაკვირვა მისმა ასეთმა საუბარმა. გამოვთქვი აზრი, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ფაშიზმი ვერ დაამარცხებს და რომ ზექერიას შეხედულება სწორი არ არის. მაშინ ზექერიამ მიპასუხა, შენ გამოუცდელი კაცი ხარ, არაფერი იცი, მე კი საიდუმლო ცნობები მომეპოვებაო. ამასთანავე ზექერია ლორთქიფანიძემ მითხრა, საჭიროა ვიმზადოთ და კონტრრევოლუციური მუშაობა გავშალოთო. რიზა ხოზრევანიძეც იმეორებდა ზექერია ლორთქიფანიძის ნათქვამს. ზექერია ლორთქიფანიძე ამავე დროს დამემუქრა, თუ კონტრრევოლუციურ-მავნებლურ მუშაობაში არ ჩაებმები, გაგაუბედურებ, სამსახურიდან მოგხსნი, დაგღუპავო.

შემატყვეს თუ არა, რომ ვმერყეობდი, კვლავ განაგრძეს აგიტაცია:

— საჭიროა ხალხი ჩავითრიოთ ჩვენი ორგანიზაციის მუშაობაში, მოვემზადოთ აჯანყებისათვის და დავიპყროთ ხელისუფლება, მაშინ ყველანი კარგად ვიცხოვრებთ, მაგრამ ჯერჯერობით ბრძოლაა საჭიროო. მე თანხმობა განვაცხადე მონაწილეობა მიმეღო ამ „ბრძოლაში“. შემდეგ დამავალეს კავშირი გამება საააჯანყებო კომიტეტის წარმომადგენლებთან ხულოს რაიონში — სეით გვარიშვილთან, ნური გამრეკელიძესთან, ოსმან-აღა დავითაძესთან, მ. ბერიძესთან და სხვ. ზექერიამ მითხრა, ყველა ეს ჩამოთვლილი პირები ჩვენი ორგანიზაციის წევრები არიანო. ჩავედი თუ არა ხულოში (მე იქ რაიაღმასკომის თავმჯდომარედ გადამიყვანეს), ჩემთან მოვიდნენ სეით გვარიშვილი და ნური გამრეკელიძე. ისინი მელაპარაკნენ, თუ როგორ და რა წესით უნდა გვეწარმოებინა მავნებლური მუშაობა. შარშან, ე. ი. 1936 წლის ოქტომბერში, ხულოში ჩამოვიდა ზექერია ლორთქიფანიძე. დაგვიძახა აგენტებს და გვითხრა, უკვე მოახლოვებულია დრო, როცა ფაშისტური სახელმწიფოები თავს დაესხმიან საბჭოთა კავშირს, საჭიროა ამ დროისათვის უფრო წარმატებით მოვემზადოთ და საბჭოთა ხელისუფლების გასანადგურებლად მზად ვიყოთო. ამისათვის, — გვითხრა ზექერიამ,— საჭიროა „ტოზების“ გადაყვანა არტელის წესდებაზე. შემდეგ შევუდგეთ ამ ახლად ჩამოყალიბებული არტელების დარღვევას და ამნაირად გამოვიწვიოთ მოსახლეობის უკმაყოფილება, უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება მეტი ხალხი იყოს უკმაყოფილოო.

„ტოზები“ არსებობდა 14 სოფელში — ფაჩხაში, ტაბლანაში, ალვეში, ვანაძეებში, რიყეთში და სხვ. გავგზავნეთ ამ სოფლებში ჩვენი, ე. ი. კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებსაც ამავე დროს პასუხსაგები თანამდებობები ეჭირათ რაიონში, და შევუდექით ახსნა-განმარტებას მოსახლეობაში იმის შესახებ, რომ პარტია და საბჭოთა ხელისუფლება გვთხოვენ კოლმეურნეობების ქსელის გაშლას და აუცილებელია ამ სოფლებში სას.-სამ. არტელების ჩამოყალიბება. თოთხმეტივე სოფელში ჩამოვაყალიბეთ სასოფლო-სამეურნეო არტელები და თან შევუდექით მუშაობას მათი დანგრევისათვის. საკარმიდამო მიწებს კოლმეურნეებს ვაძლევდით არა საცხოვრებელ სახლებთან, არამედ სოფლის მოშორებით და ისიც არა ერთ მთლიან ნაკვეთად, არამედ ნაჭერ-ნაჭერ. მაგალითად, ერთ რომელიმე კოლმეურნეს საკარმიდამო ნაკვეთის სახით ვაძლევდით მიწის ნაკვეთებს 7,8 და ზოგჯერ 9 ადგილას. იმ ფართობებს კი, რომლებიც მდებარეობდნენ სამოსახლოს ახლო, ვაძლევდით საერთო დასამუშავებლად. საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფაში მთავარ როლს ასრულებდა მავნებლური ორგანიზაციის წევრი, მიწისმზომელი წულუკიძე.

გარდა ამისა, ჩვენ მივიღეთ ზომები, რომ ახლად ჩამოყალიბებულ, ისევე როგორც ძველ კოლმეურნეობებში, ანგარიშწარმოება არეულ-დარეული ყოფილიყო. ძალიან გაგვაკვირვა იმ გარემოებამ, რომ ეს ამბავი, ე. ი. ცნობები ხულოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ მისვლოდა ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებს და, მართლაც, ერთ დღეს ხულოში ჩამოვიდა სპეციალური კომისია. ამ კომისიამ ჩვენს მიერ მავნებლურად ჩამოყალიბებული 14 კოლმეურნეობიდან 7 დასტოვა, დანარჩენები კი დაშალა, რადგან ისინი ნაძალადევად იყო ჩამოყალიბებული და კოლმეურნეობების შესაქმნელად აქ ნიადაგი არ იყო. იმ კოლმეურნეობებში, სადაც ჩვენი კაცები გვყავდა, მოსავალს დაგვიანებით ვანაწილებდით. კოლმეურნეობის წევრთათვის ანგარიშის ჩაბარების პრაქტიკა უარვყავით. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს ვაქეზებდით ფულის გაფლანგვაში და სხვა დანაშაულობებში, რათა უფრო ადრე მიგვეღწია მიზნისათვის.

განსაკუთრებით ფართოდ გავშალეთ მუშაობა მეცხოველეობის დარგში. შევამცირეთ კარანტინის ვადები, ჩავშალეთ კადრების მომზადების საქმე. შევამცირეთ შრომის ნორმები და ვაქეზებდით ყველას ხელი მიეყოთ გამწევი და პროდუქტიული საქონლის განადგურებისათვის.

მე პირადად შედარებით მცირე რამ შევძელი. ჩემის დავალებით სოფ. ვანაძეებში დაღუპეს სამოცი სული მუშა-საქონელი. მეორე სოფელში — 30 სული, მესამე სოფელში ცოტა ამაზე მეტი და სხვ. ჩემი დავალებითვე სოფ. ალვეში ჩაიშალა კარტოფილის თესვის გეგმა, იმიტომ რომ სათესი მასალა არ მივაწოდეთ. სოფ. ვანაძეებში დასარგავად გავგზავნეთ გაფუჭებული კარტოფილი, სოფ. ღურტაში 300 ფუთამდე კარტოფილი დალპა იმის გამო, რომ მე არ მივეცი საშუალება ეს კარტოფილი სხვაგან წაეღოთ და კარგ ადგილას შეენახათ.

საკმაოდ ბევრი ვიმუშავე მეთამბაქოობის დარგში მავნებლობის გასაწევად. დიდი-აჭარის კოლმეურნეობაში ჩემი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ჩაიშალა თამბაქოს პლანტაციის გაშენების გეგმა.

დანარჩენი ჩემი კონტრრევოლუციური საქმიანობა გამოიხატება შემდეგში: ვაბამდი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მტრულად განწყობილ ელემენტებს ჩვენს კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში, ვიძლეოდი დირექტივებს სხვადასხვა სამავნებლო აქტების მოსახდენად, ვხელმძღვანელობდი ჩვენი ორგანიზაციის იმ წევრებს, რომლებიც რაიონში ჩაბმული იყვნენ მავნებლურ - კონტრრევოლუციურ და დივერსიულ მუშაობაში და სხვ.

თავმჯდომარე — გქონდათ თუ არა თქვენ, ბრალდებულო ბეჟანიძე, კავშირი უცხოეთის დაზვერვასთან?

ბეჟანიძე — უშუალო კავშირი არ მქონია, მხოლოდ ზექერია ლორთქიფანიძის დავალებით მოვნახე ერთი ჩვენი თანამოაზრე კონტრრევოლუციონერი, რომელიც ხულოს რაიონში ცხოვრობდა და რომელსაც კავშირი უნდა გაება უცხოეთის ერთ-ერთი სახელმწიფოს დაზვერვასთან. აგრეთვე ვიცოდი, რომ ზექერია ლორთქიფანიძის სიმამრი ოსმან დავითაძე იცნობდა უცხოეთის ერთ-ერთ სახელმწიფოში გადახვეწილ აჭარელ ემიგრანტ მოლა ყიფიანს და კავშირი ჰქონდა მასთან. ოსმან-აღა დავითაძე მისგან იღებულობდა დირექტივებს.

თავმჯდომარე — მოახსენეთ სასამართლოს, როგორ მოხდა, რომ მაშინ, როდესაც თქვენ აჭარის უზენაეს სასამართლოში მუშაობდით, გაარჩიეთ ხულოში ცნობილი კოლმეურნეობის აქტიური თავმჯდომარის მკვლელობის საქმე და ამ საქმის გამო პასუხისგებაში მიცემულთა დიდი უმრავლესობა გაანთავისუფლეთ.

ბეჟანიძე — ეს მოხდა იმიტომ, რომ პროკურორმა კალანდაძემ, რომელიც მაშინ ამ პროცესზე გამოდიოდა, თვითონ მოხსნა ბრალდება პასუხისგებაში მიცემულთ და, გარდა ამისა, მე გადმოცემული მქონდა ზექერია ლორთქიფანიძისაგან, რომ „უბრალოდ არ დამესაჯა ამ საქმის გამო პასუხისგებაში მიცემული ხალხი“.

სახელმწიფო ბრალმდებელი—ფულადი დახმარება ხომ არ მიგიღიათ თქვენ ამ კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის და ან რა მეთოდით სარგებლობდით, რომ მეტი ხალხი მიგეზიდნათ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში სამუშაოდ?

ბეჟანიძე — ფულადი დახმარების შესახებ მოგახსენებთ, რომ თუმცა ვიცოდი, რომ სხვები ფულს ღებულობდნენ, მაგრამ მე არც მომითხოვია და არც მიმიღია. კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში მიზიდვის მეთოდად კი ვიყენებდი, სადაც მიზანშეწონილი იყო — დარწმუნების და აგიტაციის მეთოდს, სადაც არა — დაშინების მეთოდს და სხვ.

სახელმწიფო ბრალმდებელი — რას იტყვით 1.500 ძირი ნერგის გაფუჭების შესახებ? თქვენ ამაზე არაფერი მოგვახსენებიათ სასამართლოსთვის.

ბეჟანიძე — გამომრჩა. გამრეკელიძემ მითხრა, მივიღეთ 1.500 ძირი ნერგი, მაგრამ აქედან ნახევარზე მეტი გაფუჭებულია და ახლა საჭიროა მივიღოთ ზომები, რომ მეორე ნახევარიც გაფუჭდესო. ეს ნერგები შემდეგ კოლმეურნეობებს შორის გავანაწილეთ. რა თქმა უნდა, არც ერთმა ნერგმა არ გაიხარა. მაგრამ კოლმეურნეობებს მაინც გადავახდევინეთ ძირზე ორი მანეთი. ამ ამბავმა, სხვათა შორის, ძალიან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია კოლმეურნეობებში.

დამცველი — ბრალდებულო ბეჟანიძე, თქვენ უკვე მოახსენეთ სასამართლოს, რომ როცა კონტრრევოლუციურ მუშაობაში გადაბირებას გიპირებდნენ, განიზრახეთ თვითმკვლელობა. ეს თქვენი განზრახვა, როგორც აქ სთქვით, „კინაღამ“ მოგიყვანიათ სისრულეში, ე. ი. აგიღიათ რევოლვერი, გაგისროლიათ იგი, მაგრამ შემთხვევით გადარჩენილხართ. შემდეგ კი თქვენ განაცხადეთ, რომ აქტიურად იბრძოდით საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ყოველმხრივ ცდილობდით მის დამხობას. აქ წინააღმდეგობაა. პირველად სთქვით, მე დარწმუნებული ვარ საბჭოთა ხელისუფლება მტკიცეა და მას ვერავინ დაამხობსო, შემდეგ კი მაინც ჩაებით კონტრრევოლუციურ მუშაობაში.

ბეჟანიძე — მე მინდოდა თავი მომეკლა, მაგრამ ეს ვერ მოვახერხე, რადგან რიზა ხოზრევანიძემ და ზექერია ლორთქიფანიძემ შემიშალეს ხელი, შემდეგ... (ბრალდებული სიტყვებს ვერ პოულობს).

თავმჯდომარე — ბრალდებულო ლორთქიფანიძე, თქვენ რას იტყვით ამის შესახებ?

ლორთქიფანიძე — მე არ ვიცი, მაგას თვითმკვლელობა ჰქონდა თუ არა განზრახული. უფრო მგონია, რომ არა. ის კი მართალია, რომ ერთხელ ბეჟანიძემ შემოიარა ჩემთან. მთვრალი იყო. ამოიღო რევოლვერი და გაისროლა, ჩვენ მას, როგორც მთვრალს, წავართვით რევოლვერი.

ბრალდებულ ოსმან ვანაძის დაკითხვა

თავმჯდომარე — გვიამბეთ, ვინ ხართ თქვენ, როგორ ჩაებით კონტრრევოლუციურ მუშაობაში და სცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ წარმოდგენილ ბრალდებებში?

ოსმან ვანაძე — მე ვარ ყოფილი კომკავშირელი, 25 წლისა... წარმოდგენილ ბრალდებებში თავს დამნაშავედ ვცნობ. მავნებლურ მუშაობაში ჩემი ჩაბმის ისტორია ასეთია:

1935 წელს ახმედ ბოლქვაძემ, რომელიც მაშინ ხულოს რაიაღმასკომის თავმჯდომარედ იყო, წინადადება მომცა მემუშავნა მასთან ერთად საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად, როცა ბოლქვაძემ ასე გადაჭრით დამიწყო ლაპარაკი, ვიფიქრე, მცდის მეთქი. მე მას ვუთხარი: — თქვენ ხელმძღვანელი ამხანაგი ბრძანდებით, რაც არ უნდა მითხრათ ყველაფერს შევასრულებ-მეთქი.

ცოტა ხნის შემდეგ ახმედ ბოლქვაძე მოხსნეს და ბათუმში გადაიყვანეს. ამის შემდეგ 1936 წლამდე ჩემთან არავის ჰქონია ლაპარაკი მავნებლობის შესახებ, მაგრამ ერთი მავნებლობა მაინც ჩავიდინე ეს იყო დასილოსების საქმის ჩაფუშვა. შემდეგ ბოლქვაძეს შევხვდი და მან კვლავ განაახლა ჩემთან ლაპარაკი კონტრრევოლუციურ მავნებლური მუშაობის გაშლის შესახებ. ამავე დროს მან დამავალა გამომენახა სხვა პირები და მიმეზიდნა ისინი ამ ორგანიზაციაში სამუშაოდ. ბოლქვაძის ეს დავალება მე პირნათლად შევასრულე. გამოვნახე ოთხი კაცი ჩვენი სოფლიდანვე და მივგზავნე ისინი ახმედ ბოლქვაძესთან მოსალაპარაკებლად და დირექტივების მისაღებად.

1936 წლის ბოლოს ხულოში ჩამოვიდა ზექერია ლორთქიფანიძე, რომელმაც მოიწვია რაიონული აქტივის კრება „ტოზების“ სას.-სამ. არტელებად გადაკეთების შესახებ. კრების დამთავრებისას გამომიძახა ბეჟანიძემ და მითხრა, შემოიარე ჩემთან მოსალაპარაკებლადო. როცა ბეჟანიძესთან მივედი, მან განმიცხადა:

— მე გავიგე, რომ შენ ხარ აჭარის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი, მეც იმ ორგანიზაციის წევრი ვარ, ახლა შენ გევალება უფრო კარგად იმუშაო და პირნათლად შეასრულო ჩემი დავალებები

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

აჭარის კონტრრევოლუციური საჯანყებო, ჯაშუშურ-ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის მონაწილეთა პროცესი

(გაგრძელება)

ბი. მე გავალებ გააფუჭო კოლმეურნეობის კუთვნილი კარტოფილი, დანარჩენ დავალებებს ნური გამრეკელიძე მოგცემსო.

ნური გამრეკელიძემ კი დამავალა კოლმეურნეობის ჩამოყალიბება და შემდეგ ამ კოლმეურნეობის შიგნიდან დანგრევა.

სოფ. ვანაძეებში დავაარსეთ ახალი კოლმეურნეობა.

ჩვენდა საუბედუროდ, ამ კოლმეურნეობის საქმე ისე კარგად წავიდა, რომ მისი წევრები აღფრთოვანებული იყვნენ, როცა მე ეს ამბავი ვაცნობე ჩემს ხელმძღვანელებს — ნური გამრეკელიძეს, სეიდ გვარელიშვილს და ბეჟანიძეს, მათ სთქვეს, არ გვეგონა, თუ ხალხი მოიწონებდა კოლმეურნეობაში ყოფნასო, და დამავალეს საკარმიდამო ნაკვეთებად კოლმეურნეებისთვის გამომეყო ნორმაზე ბევრად ნაკლები, რომ ამით მაინც გამოგვეწვია ხალხის უკმაყოფილება. ამავე დროს მითხრეს, კარტოფილი გააფუჭე და კოლმეურნეობის ფული მიითვისეო.

ჯათლანგე, ნუ გეშინიან, ჩვენ დაგიცავთ და ყველაფერი ხახვივით შეგრჩებაო.

სამას ფუთამდე კარტოფილი გავაფუჭე. კოლმეურნეობის თანხებიდან 6.000 მანეთი მივითვისე, თოთხმეტი სული მუშა-საქონელი დავღუპე. ყოველი საშუალებით ვთესდი უკმაყოფილებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი, მაგრამ არაფერი გამოვიდა და კოლმეურნეობა მაინც არ დაირღვა.

დამცველთა კოლეგიის წევრი — იცოდით თუ არა თქვენ, ბრალდებულო ვანაძე, რომ იყავით მავნებლურ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი?

ვანაძე — თავიდანვე არ ვიცოდი, მაგრამ შემდეგ, როცა უკვე გაიშალე მუშაობა, მივხვდი, რომ ვიყავი.

დამცველთა კოლეგიის წევრი — ასე რომ, სხვებს რომ არ გადაებირებინეთ, მაინც დაიწყებდით მავნებლობას?

ვანაძე — არ ვიცი. შეიძლება ასეც ყოფილიყო.

ბრალდებულ ჰასან ჩალოღლის დაკითხვა

თავმჯდომარე — ბრალდებულო ჩალოღლი, ვიწყებთ თქვენს დაკითხვას. მოახსენეთ სასამართლოს, როგორ და რა პირობებში ჩაებით ამ კონტრრევოლუციურ მუშაობაში.

ჩალოღლი — ჩემი წარსული ასეთია. მე ვარ ქედის რაიონის სოფელ სალორეთიდან. უკანასკნელად ვიყავი სოფ. თოფალ-ოღლებში კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

1921 წლიდან, როცა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ვმუშაობდი „ფუხარათა კომიტეტში". შემდეგ ამირჩიეს ცაკის წევრად. ვმუშაობდი აგრეთვე ქოროხის ალმასკომის თავმჯდომარედ და სხვა პასუხსაგებ პოსტებზე. შემდეგ მონაწილეობას ვიღებდი 1925 წელს ხიმშიაშვილის მიერ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილ ავანტურისტულ გამოსვლებში.

თავმჯდომარე — უთხარით სასამართლოს, სცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?

ჩალოღლი — ვცნობ, ყველაფერში დამნაშავე ვარ.

თავმჯდომარე — როდის ჩაებით კონტრრევოლუციურ მუშაობაში?

ჩალოღლი — 1936 წელს. სწორედ ამავე წელს ამირჩიეს სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარედ. იმ ხანებში მომიხდა ბათუმში ჩამოსვლა. აქ ერთერთ ყავახანაში შევხვდი მოედინ სურმანიძეს. მან მიმიწვია და დამიწყო ლაპარაკი:

— მიხარია, რომ შენ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აურჩევიხართ. ვიცი, საბჭოთა ხელისუფლება ისევე მოგწონს, როგორც მე მომწონს იგი, და საჭიროა ამის შემდეგ მე და შენ უფრო დავუახლოვდეთ ერთმანეთს და შევუდგეთ კონტრრევოლუციურ მუშაობასო. მე მას დავეთანხმე და ვუთხარი, რომ ვიმუშავებდი მავნებლურ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში. ამის შემდეგ ბათუმიდან წავედი.

1936 წელმა ისე განვლო, რომ ვერ მოვახერხე მავნებლური მუშაობის გაშლა.

თავმჯდომარე — რატომ ვერ მოახერხეთ?

ჩალოღლი — იმიტომ რომ მეშინოდა, არ მინდოდა დავეპატიმრებინე შინსახკომს, ხოლო შინსახკომი დამაპატიმრებდა, თუ აშკარად ჩავიდენდი მავნებლურ აქტებს. კოლმეურნეები გამიგებდნენ და ამნაირად ჩავვარდებოდი.

ფარულად მაინც ვმუშაობდი, ვაგროვებდი ყოფილ კულაკებს, ანტისაბჭოთა ელემენტებს, ველაპარაკებოდი მათ, რომ შემოსულიყვნენ კოლმეურნეობაში, ვპირდებოდი ამ მხრივ დახმარებას და რაკი კოლმეურნეობაში ჩემი ხალხი შეყოლებოდა, უფრო გამიადვილდებოდა კოლმეურნეობის შიგნიდან დარღვევა. ამნაირი გზით გადავიბირე შეძლებული გლეხი კასუმ-ოღლი, რომელიც კოლმეურნეობაში მივიღე. მეორე ყოფილი კულაკიც დავითანხმე. ეს იყო აბდულ ქიარიმ-ოღლი. გარდა ამ ორისა, მალე სხვებიც მივიზიდე და ამგვარად შევქმენი კონტრრევოლუციური ბირთვი კოლმეურნეობის შიგნით.

1937 წლის გაზაფხულზე დირექტივა მივიღე და ჩემს აგენტებს დავავალე — გაეჭიანურებინათ და ჩაეშალნათ თესვის კამპანია. იმ ხანებში მე ავად გავხდი, მაგრამ ჩემი აგენტები გაფაციცებით მუშაობდნენ და შესძლეს ჩაეშალათ თესვა.

თავმჯდომარე — მაინც რამ გაიძულათ, ანდა რა იყო მიზეზი, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ასე გადიკიდეთ და მისი დამხობა განიზრახეთ?

ჩალოღლი — ძალიან უკმაყოფილო ვიყავი საბჭოთა ხელისუფლებისა, იმიტომ რომ პირველ ხანებში მომცეს კარგი თანამდებობა, კარგად ვცხოვრობდი, არაფერი მაკლდა, შემდეგ კი მომხსნეს პასუხსაგები თანამდებობიდან, დამაქვეითეს და ჩემი ცხოვრების პირობებიც გაუარესდა. აი, ამიტომ ვიყავი მე საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მომხრე და ბურჟუაზიული წესწყობილების მოტრფიალე. მე ვფიქრობდი—რადგან ჩემზე უფრო ნასწავლი ხალხი ამბობს, საბჭოთა ხელისუფლება მალე დაემხობა და ფაშისტური ქვეყნები გაიმარჯვებენო, ამ კონტრრევოლუციურ მოღვაწეობას დამიფასებდა ის ხელისუფლება, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების შემდეგ იქნებოდა, მომცემდა კარგ სამსახურს და საერთოდ უკეთ ვიცხოვრებდი.

თავმჯდომარე — მაინც რამდენი კაცი გადაიბირეთ თქვენ კოლმეურნეობებში კონტრრევოლუციურ-მავნებლური მუშაობის გასაშლელად?

ჩალოღლი — სულ ხუთი კაცი გადავიბირე.

თავმჯდომარე — ვინ იყვნენ ის პირები, რომლებმაც თვითონ თქვენ ჩაგითრიეს ამ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში?

ჩალოღლი — სხვადასხვა დროს მხვდებოდნენ და მომიწოდებდნენ მავნებლური მუშაობის გაჩაღებისაკენ—რიზა თავდგირიძე, ოსმან მოწყობილი, ზექერია ბერიძე და, როგორც თავიდანვე მოგახსენეთ, მოედინ სურმანიძე, რომელიც თითქმის ყოველთვის ყავახანაში იყო და იქ მხვდებოდა.

თავმჯდომარე — გაიხსენეთ და ჩამოგვითვალეთ, კონკრეტულად რა აწყენით ქვეყანას.

ჩალოღლი — მე გავაფუჭე ჩვენს კოლმეურნეობაში 500 კონა ჩალა. ჩემი ინიციატივითა და ჩემი აგენტების დახმარებით ჩავშალე თესვის კამპანია. მეტი მავნებლობის მოხდენა არ დამცალდა, რადგან შინსახკომის ორგანოებმა მალე მოგვიღეს ბოლო.

სახელმწიფო ბრალმდებელი — თქვენ წესად გქონდათ შემოღებული თუ არა ანგარიშის ჩაბარება იმ პირებისათვის, რომლებიც დირექტივებს გაძლევდნენ?

ჩალოღლი — გაწეული მავნებლური საქმიანობის შესახებ ხშირად მთხოვდა ანგარიშის ჩაბარებას მოედინ სურმანიძე. როცა მე მას ვეუბნებოდი სოფლად ახლა ძნელია მავნებლური მუშაობის წარმოება, რადგან კოლმეურნეები კარგად ცხოვრობენ და ხელისუფლების მადლიერი არიანმეთქი, სურმანიძე უკმაყოფილებას გამოსთქვამდა და მეუბნებოდა, შენ არ ვარგიხარ, თორემ კოლმეურნეები პარტიისა და ხელისუფლების კმაყოფილნი არ იქნებოდნენო.

სახელმწიფო ბრალმდებელი — კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ხომ არ დაგპირებიათ თქვენ ფულად დახმარებას?

ჩალოღლი — როგორ არა, დამპირდნენ. მითხრეს, შენ კარგად იმუშავე და ჩვენ ფულად დახმარებას არ მოგაკლებთო, მაგრამ მომატყუეს, არავითარი დახმარება მათგან არ მიმიღია.

დამცველთა კოლეგიის წევრი: თქვენ მავნებლობდით უმთავრესად სოფლის მეურნეობის დარგში. რა და რა კულტურების განადგურება გქონდათ მიზნად დასახული და რომელი კულტურის მიხედვით რა ზიანი მიაყენეთ კოლმეურნეობას?

ჩალოღლი — მე სიმინდის კულტურის გასანადგურებლად ვმუშაობდი. ციტრუსების დაღუპვა მინდობილი ჰქონდა კასუმ-ოღლის, ხოლო სხვა კულტურების გასანადგურებელი ღონისძიებები უნდა განეხორციელებინათ დანარჩენებს. მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, დიდხანს არ დამცალდა მუშაობა.

დამცველთა კოლეგიის წევრი — თქვენი კოლმეურნეობა სუსტი იყო თუ მძლავრი?

ჩალოღლი — ჩვენი კოლმეურნეობა იყო და ახლაც არის ერთერთი ყველაზე მძლავრი კოლმეურნეობა. სწორედ ამიტომ უყვართ ეს კოლმეურნეობა მის წევრებს და ეს იყო მიზეზი, რომ ჩვენ გაგვიჭირდა იქ მავნებლური მუშაობის უფრო ფართოდ გაშლა.

ბრალდებულ ჩალოღლის დაკითხვით დამთავრდა სასამართლოს 26 სექტემბრის დილის სხდომა.

შემდეგ შესდგა სასამართლოს დახურული სხდომა.

პროცესის დღიური

26 სექტემბრის საღამოს სხდომა

26 სექტემბერს დილის სხდომაზე სასამართლომ დაამთავრა ბრალდებულთა დაკითხვა.

საღამოს სხდომაზე პირველად დაკითხულ იქნა მოწმე ოსმან მოწყობილი, რომელიც დაპატიმრებამდე აჭარის შინავაჭრობის სახალხო კომისარი იყო. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ის საზღვარგარეთ იმყოფებოდა. პარტიიდან ერთხელ გარიცხულია კონტრრევოლუციური მოქმედებისათვის. ოსმან მოწყობილი უკმაყოფილო იყო საბჭოთა ხელისუფლებისა. ეს იცოდა ჯემალ ქიქავამ და ჩააბა ის კონტრრევოლუციურ ფაშისტურ-ტერორისტულ ორგანიზაციაში, ოსმან მოწყობილმა, ზექერია ლორთქიფანიძისა და ჯემალ ქიქავას დავალებით, ქობულეთის რაიონში კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში ჩააბა 24 კაცი.

მოწმე დავით ძნელაძე დაპატიმრებამდე აჭარის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე იყო. 1936 წელს ის კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში ჩაება და, ზექერია ლორთქიფანიძისა და ილიას მეგრელიძის დავალებით იწევდა დამანგრეველ მუშაობას სოფლის მეურნეობაში. დავით ძნელაძე კოლმეურნეობების იმ თავმჯდომარეებს, რომლებიც მან ფაშისტურ ორგანიზაციაში ჩააბა, ახოცვინებდა მუშა-საქონელს, შლიდა კოლმეურნეობებს და ავიწროვებდა აჭარის მშრომელ გლეხობას. დავით ძნელაძემ ზექერია ლორთქიფანიძისა და ილიას მეგრელიძის კონტრრევოლუციურ - ტერორისტული საქმიანობის შესახებ დაწვრილებითი ჩვენება მისცა სასამართლოს.

მოწმე გარო აგამჯანოვი დაპატიმრებამდე იყო თამბაქოს ფაბრიკის დირექტორი. ჯერ კიდევ 1929 წლიდან მას ახლო კავშირი ჰქონდა რამიშვილთან, ხოლო 1935 წელს ჩაება კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში. იმავე წლის დეკემბერში სერგო მანაგაძემ, აგამჯანოვმა და რამიშვილმა მოილაპარაკეს ამხანაგ ლავრენტი ბერიას წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მოწყობის შესახებ. გარდა ამისა, აგამჯანოვი რამიშვილის დავალებით ფაბრიკაში იწევდა დამანგრეველ მუშაობას, აჩერებდა სამქროებს, ამტვრევდა მანქანებს და თავის დროზე არ არიგებდა ხელფასს.

მოწმე ოსმან კონცელიძე 1933 წელს ჩაება კონტრრევოლუციურ-დივერსიულ ორგანიზაციაში. დაპატიმრებამდე აჭარის ჯანმრთელობის სახალხო კომისარი იყო, და, ზექერია ლორთქიფანიძისა და ჯემალ ქიქავას მითითებით, აფერხებდა საავადმყოფოებისა და საბავშვო ბაგების მშენებლობას, მავნებლური მოსაზრებით, შორეული სოფლების საექიმო პუნქტებში კვალიფიციურ ექიმებს არ გზავნიდა, ხელს უწყობდა ეპიდემიის გავრცელებას და სისტემატურად ღებულობდა ზექერია ლორთქიფანიძისაგან ფულს კონტრრევოლუციურ - ფაშისტური მუშაობის შემდგომი გაშლისათვის.

შემდეგ დაკითხულ იქნენ მოწმე ნური გამრეკელიძე—დაპატიმრებამდე ხულოს რაიონის მიწგანის გამგე, და ქობულეთის რაიაღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე მამედ ყურშუბაძე.

27 სექტემბრის დილის სხდომა

ოცდაშვიდი სექტემბრის დილის სხდომაზე გრძელდებოდა მოწმეთა დაკითხვა. დაჰკითხეს მავნებელ ბეითალს ხულოს რაიონიდან ილია თურქოშვილს. მან დაადასტურა, რომ იგი მავნებლურ მუშაობაში ჩააბა დავით ძნელაძემ და მისი დავალებით ანადგურებდა მუშა-საქონელს. ძნელაძე მიწსახკომის მოადგილე იყო და თურქოშვილი მისი ერთგული ლაქია გახდა. ძნელაძის დავალებით თურქოშვილი შეუდგა მესაქონლეობის ფერმების ლიკვიდაციას, პირუტყვში ავადმყოფობის გავრცელებას. მარტო მაცქვალის კოლმეურნეობაში მისი მეოხებით დაიხოცა 22 სული ხარი. მოწმემ დაადასტურა ბრალდებულთათვის წარდგენილი ყველა ბრალდება.

სასამართლოს საინტერესო ჩვენება მისცა ხასან წულუკიძემ. მან აღნიშნა, რომ შარშან ხულოს რაიონის მშრომელები აღშფოთებული იყვნენ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის იმ დამახინჯებით, რომელსაც მავნებლები ახდენდნენ. მავნებლებმა ხულოს რაიონის მშრომელთ დიდი ზარალი მიაყენეს. მათი მეოხებით კოლმეურნეებს წაუხდათ ნათესები, დაეღუპათ პირუტყვი, ნერგები. გოგაძეების კოლმეურნეობას ბეჟანიძის და სხვა მავნებლების განკარგულებით წაართვეს ხუთი ჰექტარი მიწა და გადასცეს ინდივიდუალურ მეურნეებს. ამის მიზანი იყო ის, რომ კოლმეურნეები და ერთპიროვნული მეურნეები ერთმანეთისათვის გადაემტერებინათ.

მოწმე ისკანდერ კობაძემ, რომელიც ამჟამად დიდაჭარის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა, ჩამოსთვალა ის მავნებლური აქტები, რაც მოღალატეებმა ჩაიდინეს მარტო მათი კოლმეურნეობის დასაშლელად. მავნებლებმა კოლმეურნეებს ზამთარში დაათესვინეს სამყურა, წაართვეს საძოვარი და სხვებს გადასცეს, დაღუპეს მუშა და პროდუქტიული საქონელი. ერთი სიტყვით, მათ უნდოდათ მოსახლეობაში ხელისუფლებისადმი უკმაყოფილების გამოწვევა.

მოწმე ყადირ ხოზრევანიძემ აჩვენა, რომ მავნებლები ყველაფერს აკეთებდნენ მოსახლეობაში უკმაყოფილობის დასათესად და პარტიისა და ხელისუფლებისათვის სახელის გასატეხად.

აჭარის მიწსახკომის უფროსმა ვეტექიმმა სოსლან ჩიხლაძემ სასამართლოს უამბო იმ დევნა-შევიწროების შესახებ, რომელსაც განიცდიდნენ პატიოსანი სპეციალისტები და ყველა ისინი, ვინც ნავნებლური საქმიანობის გასამჟღავნებლად ხმას ამოიღებდა. თვითონ მას ბათუმში ბინა არ მისცეს, უთხრეს—მოგვშორდი, წადიო, და რომ წავიდა, მტრობდნენ. ამ მტრობის შედეგად ჩიხლაძე უბინაოდ დადიოდა ცოლშვილიანად და ბავშვი გარდაიცვალა.

დამახასიათებელი იყო მოწმე ალი წულუკიძის ჩვენება. იგი მიწისმზომლად მუშაობდა. თუმცა უსწავლელი იყო. მავნებლებმა განიზრახეს მისი კონტრრევოლუციურ საქმიანობაში ჩაბმა, უარი არ გაუბედა. დაემუქრნენ მოკვლით და ცოლშვილის ამოწყვეტით. დააშინეს და დააწყებინეს მავნებლობა. სულ ემუქრებოდნენ, შენ გულით არ მუშაობ, იცოდე სადმე რამე რომ დაგცდეს, ძაღლივით მოგკლავთო.

ტერორითა და დაშინებით გადაიბირეს მათ მოწმე ისმაილ გათენაძეც. მან აღნიშნა, მავნებლობას ჩავდიოდი, რადგან სხვა გამოსავალი არა მქონდაო. დამაშინეს, ბათუმის მთავრობა ჩვენია, რომ იჩივლო, არაფერი გამოვა, სამაგიეროდ ცოლშვილიანად ამოგხოცავთო.

მოწმე ნური მიქელაძემ სასამართლოს უამბო მავნებლების თარეშზე სოფელ ვანაძეებში. ასეთივე ხასიათის ჩვენება მისცა სასამართლოს მოწმე ნური სურმანიძემ. სტახანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოფ. სტეფანიშვილების საკოლმეურნეო ფერმის გამგემ გულა ართმელაძემ. ქობულეთის აგრონომმა აზიზ გოგიჩაძემ უამბო, რომ პატიოსან სპეციალისტებს უდანაშაულოდ სდევნიდნენ, ხსნიდნენ სამუშაოდან, აცხადებდნენ ხელისუფლების მტრებად, აპატიმრებდნენ და სხვ.

სასამართლომ ამით დაამთავრა გამოძიება. მხარეთა კამათი დაიწყება ოცდარვა სექტემბრის დილის სხდომაზე.

მშრომელები მოითხოვენ ხალხის უბოროტეს მტრების დახვრეტას

აჭარის მშრომელთა ხმა

(ტელეფონით „კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

უჩვეულო გაცხოველება დაეტყო ბათუმის ქუჩებს. სამშობლოს მოღალატეების, ჯაშუშ - ტერორისტული, დივერსიულ - მავნებლური ორგანიზაციის მონაწილეთა გასამართლებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა მთელს აჭარაში და დაიძრნენ რაიონებიდან ბათუმისაკენ ბარაქიანი მინდვრების სახელოვან სტახანოველთა წარმომადგენლები, რათა საქვეყნოდ განაცხადონ აჭარელ მშრომელთა ერთსულოვანი მოთხოვნა:

— სიკვდილი მტრებს, ტროცკისტ - დივერსანტებს, სამშობლოს მოღალატეებს!

ყოველ დღე ახალ-ახალი ჯგუფები მოემართებიან ბათუმისაკენ მატარებლებით, ავტობუსებით, ფეხით. ბათუმის მოედნებზე, ბაღებსა და ქუჩებში გამართულ რადიორეპროდუქტორებთან აუარებელი ხალხია თავმოყრილი. ყველა მსურველს ვინც მიილტვის სასამართლოს სხდომაზე დასასწრებლად, ვერ დაიტევს ლამაზი და კოხტა დარბაზი წითელი არმიისა და ფლოტის ცენტრალური სახლისა.

გუშინ გაიმართა ბათუმში ჩამოსულ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, ბრიგადირების, აგრონომების, აგროტექნიკოსების, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების სტახანოველთა გაერთიანებული მიტინგი. სიტყვებით გამოსულმა სტახანოველებმა და აჭარის განახლებული სოფლის წარჩინებულმა ადამიანებმა მოითხოვეს, რომ სასამართლომ სიკვდილი მიუზღოს ხალხის საზიზღარ მტრებს, კონტრრევოლუციურ-საჯანყებო, ჯაშუშურ-ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის ყველა მონაწილეს.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ ქედის, ხულოს, ქობულეთის და ბათუმის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლები.

— ჩვენ აქ ჩამოვედით იმიტომ, რომ დავუდასტუროთ პარტიას და ხელისუფლებას ჩვენი მზადყოფნა სამშობლოს მტრებთან საბრძოლველად. აჭარის მშრომელები ერთსულოვან აღშფოთებას გამოსთქვამენ ზექერია ლორთქიფანიძის და მისი ყაჩაღური ბანდის მიმართ და მოითხოვენ საბჭოთა ხელისუფლებისა და საბჭოთა მართლმსაჯულებისაგან, რათა ეს ქვეწარმავალნი აღგვილ იქნან პირისაგან მიწისა. ამავე დროს ჩვენ ვაცხადებთ აჭარის კოლმეურნეთა სახელით, რომ კიდევ უფრო გავაძლიერებთ სტახანოვური მუშაობის ტემპებს და კიდევ მეტის გადაჭარბებით შევასრულებთ გეგმებს, რომ ამით უმოკლეს დროში ავუნაზღაუროთ ქვეყანას ის ზიანი, რომელიც მავნებლებმა მოგვაყენეს.

o

აჭარის რაიონებიდან მოდის ცნობები, რომ ყველგან კოლმეურნეობებსა, თუ საამშენებლო სამუშაოებზე ეწყობა მუშა-მოსამსახურეთა სახელდახელო მიტინგები, სადაც მშრომელები მოითხოვენ ხალხის მტრების ზექერია ლორთქიფანიძის, გიორგი რამიშვილის, ჯემალ ქიქავას, გრიგოლ ლაღიძის და სხვა მოღალატეთა სიკვდილით დასჯას.

განსაკუთრებით აღშფოთებულნი არიან ხალხის ამ მტრების შავბნელი საქმიანობით ხულოს და ქედის რაიონის მშრომელები. ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირის მშრომელთა მიტინგზე კოლმეურნეებმა [illegible] სასწრაფოდ გამოასწორონ მავნებლების მიერ კოლმეურნეობებისათვის მიყენებული ზარალი.

— ბევრი ტანჯვა-ვაება ახსოვს ხულოს რაიონს ძველ დროში, — სწერია მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში, —უწინ გაუნათლებელნი, უუფლებო და დაბეჩავებულნი, ახლა ბედნიერად და შეძლებულად ვცხოვრობთ. საზიზღარ ჯაშუშებს და მოღალატეებს სურდათ კვლავ მონობის უღელი დაედგათ ჩვენთვის და მივეყიდნეთ მოლებისა და ალაღარებისათვის. ვსთხოვთ უზენაეს სასამართლოს არ დაინდოს არც ერთი მოღალატე და ყველას სიკვდილის განაჩენი გამოუტანოს.

ასეთივე შინაარსის რეზოლუცია მიიღეს ქედაში.

ქობულეთის რაიონის მშრომელებმა, რომლებიც შეიკრიბნენ გუშინ მოწვეულ მიტინგზე, მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნეს, რომ ჩვენი სახელოვანი შინსახკომის დამსახურების აღსანიშნავად მიიღებენ ყველა ზომას, რათა უმოკლეს დროში ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობები კვლავ მოწინავეთა რიგებში ჩადგებიან. კოლმეურნეებმა მიიღეს ვალდებულებანი, რომ ერთიორად გააძლიერებენ სტახანოვური მუშაობის ტემპებს, აღმოფხვრიან ჩამორჩენას ჩაის კრეფაში და ვადაზე ადრე შეასრულებენ წლიურ გეგმას.

ქობულეთის მშრომელებმა ცალკე დელეგაცია გამოგზავნეს ბათუმში, რომ სთხოვონ სასამართლოს ხალხის მტრების სიკვდილით დასჯა.

o

ბათუმის ფაბრიკა-ქარხნების მუშები უერთდებიან იმ საყოველთაო აღშფოთებას, რომელიც აჭარის მშრომელებში გამოიწვია ზექერია ლორთქიფანიძისა და მისი ბანდის შავბნელმა საქმიანობამ.

ბათუმის ნავსადგურის მუშათა მიტინგზე, სადაც 500-ზე მეტმა კაცმა მოიყარა თავი, სიტყვებით გამოვიდნენ სტახანოველები მუსა სირაძე, მ. კალანდაძე და სხვ. ასევე მრავალრიცხოვანი მიტინგი შესდგა აჭარისწყალის ჰიდროელსადგურის მშენებლობაზე, „მთავარნავთის" ბათუმის ბაზაზე, ამხ. კაგანოვიჩის სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკაში, ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში, ჩაქვის ჩაის ფაბრიკაში, თამბაქოს ფაბრიკაში და სხვ.

ბათუმი, 27 სექტემბერი.

არავითარი შებრალება ხალხის მტრებს!

თბილისის უნივერსიტეტში

თბილისის უნივერსიტეტის კლუბის გაჭედილი დარბაზი ვერ იტევს ყველას, ვისაც სურს თავისი აღშფოთება გამოსთქვას აჭარის კონტრრევოლუციური, საჯანყებო-ჯაშუშური, ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის მონაწილეთა საზიზღარ დანაშაულთა გამო.

ტრიბუნაზე ერთი-მეორეს ცვლიან პროფესორები, მეცნიერი მუშაკები, სტუდენტები.

— ჩვენ მოვითხოვთ, — განაცხადა ეკონომიური ფაკულტეტის დეკანმა ამხ. პ. მეტრეველმა, — ხალხის უბოროტესი მტრების ფიზიკურად მოსპობას. რკინის ქუსლით უნდა გავსრისოთ ეს ბინძური არამზადები!

პროფ. კ. კეკელიძემ აღნიშნა, რომ მუშებს და კოლმეურნე გლეხობას არ დავიწყებიათ წარსული რეჟიმის საშინელებანი; ისინი არასოდეს არ გაჰყვებიან ლორთქიფანიძის, რამიშვილისა და სამშობლოს სხვა მოღალატეთა ბანდებს. საჭიროა აღმოვფხვრათ მავნებლობისა და მავნებელთა ნაშთები.

— ჩვენ მოვითხოვთ, — განაცხადა მან, — რათა დამნაშავენი სიკვდილით იქნან დასჯილნი.

სტუდენტი ქალი ამხ. სიდონია ჩხაიძე და სტუდენტი ამხ. კოპალიანი უდიდესი აღშფოთებით ლაპარაკობდნენ საზიზღარ გამცემელთა დანაშაულებრივ მუშაობაზე. საბჭოთა ქვეყნის მშრომელებს მაგრად უჭირავთ ხელში ლენინ-სტალინის დროშა და არავის მისცემენ ნებას დაანგრიოს საბჭოების ქვეყნის დიადი მიღწევები. ხალხის ბილწი მტრები, რომელნიც ხელჰყოფდნენ ამ მიღწევებს, განადგურებულ უნდა იქნან.

პროფ. დ. უზნაძე ამბობს

— როცა აქ ვისმენ გამოსულთა სიტყვებს, ჩემს წინაშე ისახება წინანდელი ჩამორჩენილი აჭარის სურათი, აჭარისა, რომელიც გონებრივად მოლებს ჰყავდათ დამონებული, ხოლო ეკონომიურად ბეგებს. განა შეიძლება ეს შავბნელი წარსული შევადაროთ ნათელ აწმყოს, როცა განვითარების გზა გახსნილი აქვს ხალხის ყოველგვარ ნიჭს და შრომისა, განათლებისა და კულტურისაკენ მისწრაფებას! ქვეყანა ჰყვავის, ხალხის უბოროტეს მტრებს უნდოდათ წინანდელ მდგომარეობაში დაებრუნებინათ აჭარა, — ისინი არავითარი შეწყნარების ღირსნი არ არიან.

დოცენტმა ნ. კეცხოველმა აღნიშნა — დიდმა სტალინმა შექმნა მეგობრობა და ძმობა საბჭოთა ხალხებისა, რომელნიც გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიდიან. წარსულის დაბრუნება შეუძლებელია. მეცნიერი მუშაკები, რომელნიც თავის მუშაობაში შეიარაღებული არიან კალმით, პარტიისა და მთავრობის პირველი დაძახებისთანავე, ამ იარაღს, სხვა იარაღით შესცვლიან და მკერდით დაიცავენ დიდი სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართ.

თავის რეზოლუციაში თბილისის უნივერსიტეტის მასწავლებელთა, პროფესორთა და სტუდენტთა 5 ათასიანი კოლექტივი სასჯელის უმაღლეს ზომას—დახვრეტას მოითხოვს საზიზღარ მახინჯთათვის, ფაშისტ-ტროცკისტ-ბუხარინელ ჯაშუშთათვის.

წითელი არმია გამანადგურებელ ლახვარს ჩასცემს მტერს

სოციალიზმის ქვეყნის ყველა ჯურის მტრებისადმი უღრმესი ზიზღითა და სიძულვილით შეხვდნენ წითელი არმიის ქართული ნაწილების მებრძოლები და მეთაურები ცნობას აჭარის კონტრრევოლუციურ, ჯაშუშურ-საჯანყებო ორგანიზაციის მავნებლურ-დივერსიული მუშაობის შესახებ. 26 სექტემბერს, როცა ნაწილებში მიღებულ იქნა გაზეთები საბრალდებო დასკვნით გესტაპოს ცოფიანი ძაღლების ზ. ლორთქიფანიძის, ქიქავას და სხვათა ბრალდებისა გამო, მებრძოლები სამეცადინოდ იყვნენ წასული. დანაყოფების პოლიტხელებმა შესვენებისას მეომრებს დაურიგეს გაზეთები და მათივე მოთხოვნით ყველგან სახელდახელო მიტინგები ჩაატარეს.

№ ლეგიონის მეომართა მიტინგზე ამხანაგები—შანშიაშვილი, დათუაშვილი, ძაგანიშვილი, ბესიაშვილი და სხვები, აღნიშნავდნენ რა ფაშისტ ქოფაკთა გამცემლურ საქმიანობას, წყევა-კრულვით იხსენიებდნენ მათ სახელებს, ერთხმად მოითხოვდნენ ხალხის მტრების, ტროცკისტთა ნაბოლარების ზექერია ლორთქიფანიძისა და ყველა მისი დამქაშის ფიზიკურად განადგურებას. არავითარი დანდობა ხალხის მტრებს. სიკვდილი სამშობლოს გამყიდველებს,— ასეთია მიტინგის ერთსულოვანი მოთხოვნა.

— ენა ვერ გამოსთქვამს,—ამბობს № მსროლელი ლეგიონის მებრძოლი ამხ. ჭიქაძე,—იმ უღრმეს ზიზღს, რომელიც აღძრა ჩემში ფაშისტთა ქოფაკების, სამშობლოს გამყიდველების ზ. ლორთქიფანიძისა და სხვათა მუხანათურმა მოქმედებამ.

დეე იცოდნენ ყველა მათ, ვინც ცდილობს ოდნავ მაინც შეარყიოს საბჭოთა კავშირის ძლიერება, რომ საბჭოთა ხალხი, გმირული წითელი არმია, მათ ამ თავხედურ ზრახვას უპასუხებენ სამშობლოს თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებით, გააძლიერებენ კლასობრივ სიფხიზლეს, კიდევ უფრო მტკიცედ შემჭიდროვდებიან ლენინ-სტალინის პარტიის, გენიალური ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო. წითელი არმია თავისი შესანიშნავი ადამიანებითა და ტექნიკით ყოველ წუთს მზადაა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს მტერს მისსავე ტერიტორიაზე.

საერთო ხედი ბათუმის წითელი არმიისა და ფლოტის სახლისა, სადაც მიმდინარეობს აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოს სპეციალური საკრებულოს ღია სხდომები

სურათზე: აჭარის ნარიჯღოვანთა მინდვრებისა და ბათუმის საწარმოთა სტახანოველები ისმენენ სამშობლოს ვერაგ გამცემლების ჩვენებებს.

ფოტო დავიდოვისა („სოიუზფოტოს" საქ. გან.).

„სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების" შემსწავლელი
წრეების ხელმძღვანელთა დასახმარებლად

„სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების" შემსწავლელი წრის მუშაობის სანიმუშო გეგმა

1-ლი მეცადინეობა

სსრ კავშირის უზენაესი საბჭო (კავშირის საბჭო და ეროვნებათა საბჭო)

სსრ კავშირის სახელმწიფოებრივი წყობილება: სსრ კავშირში შემავალი მოკავშირე რესპუბლიკები, ავტონომიური რესპუბლიკები და ავტონომიური ოლქები, ნაციონალური ოკრუგები (სსრ კავშირის გეოგრაფიული რუკის მიხედვით).

სსრ კავშირის უზენაესი საბჭო — სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო. სსრ კავშირის უზენაესი საბჭო — სსრ კავშირის უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ორი პალატა: კავშირის საბჭო და ეროვნებათა საბჭო. სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ორი პალატა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელებაა.

ორი პალატა ბურჟუაზიულ პარლამენტებში.

ხალხთა მეგობრობის აყვავება სსრ კავშირში. ნაციონალური ჩაგვრა კაპიტალის ქვეყნებში.

ლიტერატურა:

სსრკ კონსტიტუცია, თავი II. სახელმწიფოებრივი წყობილება, თავი III. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები.

სტალინი. სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ. კარი II. ცვლილებანი სსრ კავშირის ცხოვრებაში 1924 წლიდან 1936 წლამდე განვლილ პერიოდში. კარი III. კონსტიტუციის პროექტის ძირითადი თავისებურებანი.

სტალინი. სიტყვა ტაჯიკისტანისა და თურქმენისტანის მოწინავე კოლმეურნეთა და კოლმეურნე-ქალთა თათბირზე პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან (ცალკე ბროშურა, 1937 წ. გამოცემა).

სტალინი. ნაციონალური მომენტები პარტიულ და სახელმწიფოებრივ მშენებლობაში. მოხსენება რკპ (ბ) XII ყრილობაზე (ცალკე ბროშურა ან კრებულში „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიური საკითხი", გვ. 123-124).

მოლოტოვი. სოციალიზმის კონსტიტუცია. კარი III. სსრ კავშირი და ხალხთა შორის მშვიდობიანობა.

სსრ კავშირის რუკა.

მე-2 მეცადინეობა

საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლება სსრ კავშირში ფარული (დახურული) კენჭისყრით (საარჩევნო სისტემა)

ბურჟუაზიული დემოკრატია — დემოკრატიაა მდიდრებისათვის, ბურჟუაზიის შენიღბული ბატონობა. მშრომელთა უფლებების შეზღუდვანი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ კონსტიტუციებში (საყოველთაო საარჩევნო უფლების შეზღუდვანი ასაკის, სქესის, ბინადრობის, ეროვნების მიხედვით და ა. შ.). კაპიტალიზმის პირობებში მშრომელთა ფართო მასებისათვის შეუძლებელია გამოიყენონ კანონით მინიჭებული უფლებები (ცხოვრების პირობების სიმძიმე, სიღატაკე, უმუშევრობა; აგიტაციის ყველა საშუალება კაპიტალისტების ხელშია და ა. შ.). ბურჟუაზიული დემოკრატიის ფორმალური ხასიათი.

მატერიალური პირობების არსებობა სსრ კავშირში თანმიმდევარი სოციალისტური დემოკრატიზმის აყვავებისათვის: მოსპობა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისა, შრომის, დასვენების, განათლების და მოხუცებულობაში, აგრეთვე ავადმყოფობის შემთხვევაში და შრომისუნარის დაკარგვისას მატერიალური უზრუნველყოფის უფლება. მშრომელთა შეძლებული ცხოვრების აყვავება. კულტურის აყვავება სსრ კავშირში.

საყოველთაო საარჩევნო უფლება სსრ კავშირში და რით გამოიხატება იგი. ვისა აქვს სსრ კავშირში უფლება — აირჩიოს და არჩეულ იქნას. სსრ კავშირში არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჩამორთმეული აქვთ მხოლოდ შეშლილთ და იმ პირებს, რომელნიც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებულნი არიან საარჩევნო უფლებათა ჩამორთმევით. არჩევნებში მონაწილეობის შეზღუდვანი, რომლებიც შემოღებული იყო წინანდელი კონსტიტუციით ყოველგვარი შეზღუდვის გაუქმება სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციით. სსრ კავშირში მსოფლიოში ყველაზე ფართო საყოველთაო საარჩევნო უფლებაა.

თანასწორი საარჩევნო უფლება სსრ კავშირში და რით გამოიხატება იგი. არა სავსებით თანასწორი საარჩევნო უფლება სსრ კავშირის წინანდელი კონსტიტუციის მიხედვით და ამის გაუქმება სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში. სსრ კავშირის კონსტიტუციის მუხლი 136 და „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების" მუხლი 3 თანასწორი არჩევნების შესახებ.

პირდაპირი საარჩევნო უფლება სსრ კავშირში და რით გამოიხატება იგი. მრავალსაფეხურიანი არჩევნები სსრ კავშირის წინანდელი კონსტიტუციის მიხედვით და ამის გაუქმება სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში. კონსტიტუციის მუხლი 139 პირდაპირი არჩევნების შესახებ სსრ კავშირში.

ფარული (დახურული) კენჭისყრა და რაშია მისი მნიშვნელობა. წინათ არსებული ღია არჩევნების გაუქმება.

ლიტერატურა:

სსრ კავშირის კონსტიტუცია, თავი X. მოქალაქეთა ძირითადი უფლებანი და მოვალეობანი. თავი XI. საარჩევნო სისტემა.

სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუცია (პარტგამომცემლობა, 1934), თავი III. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების ყრილობის შესახებ.

დებულება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ, თავი I. საარჩევნო სისტემა.

ლენინი. მოხსენება და თეზისები ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე და პროლეტარიატის დიქტატურაზე. თხზულებები, ტ. XXIV, გვ. 7-20.

სტალინი. სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ. კარი III. კონსტიტუციის პროექტის ძირითადი თავისებურებანი.

სტალინი. საუბარი ამერიკის საგაზეთო გაერთიანება „სკრიპს-ჰოვარდ ნიუსპეიპერსის" თავმჯდომარე ბ-ნ როი ჰოვარდთან (უკანასკნელი კითხვა).

მოლოტოვი. საბჭოთა კონსტიტუციის ცვლილებათა შესახებ. მოხსენება საბჭოების VII ყრილობაზე 1935 წ. 6 თებერვალს. კარი II. საბჭოთა საარჩევნო სისტემის შემდგომი დემოკრატიზაციის ამოცანები.

მოლოტოვი. სოციალიზმის კონსტიტუცია. კარი II. ჩვენი დამოკიდებულება დემოკრატიზმისადმი.

იაკოვლევი. „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების" პროექტის შესახებ, კარი I. როგორ არის უზრუნველყოფილი საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლება და ფარული კენჭისყრა.

კალინინი. სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება და საბჭოების ამოცანები. სტატიის პირველი ნაწილი (1937 წ. 2 სექტემბრის „პრავდა" ან ცალკე ბროშურა).

არჩევნები კაპიტალისტურ ქვეყნებში. („ვ პომოშჩ პარტიინომუ უჩებე" № 20-21, 1937 წ. ივლისი).

ორი მსოფლიო — ორი საარჩევნო სისტემა („სპუტნიკ აგიტატორა" № 15).

მე-3 მეცადინეობა

როგორ ეწყობა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქები და საარჩევნო უბნები

კავშირის საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქები — ოლქზე 300.000 მცხოვრები.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქები: 25 ოლქი თვითეულ მოკავშირე რესპუბლიკაში, 11 ოლქი თვითეულ ავტონომიურ რესპუბლიკაში, 5 ოლქი თვითეულ ავტონომიურ ოლქში, 1 საარჩევნო ოლქი თვითეულ ნაციონალურ ოკრუგში. როგორ მოეწყობა საარჩევნო ოლქები მოსკოვში, ქალ. ყაზანში (თათართა ასსრ) და ა. შ.

საბჭოთა საარჩევნო კანონის მნიშვნელობა სსრ კავშირის ეროვნებათა უფლებების უზრუნველყოფაში.

საარჩევნო უბნები საერთო კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს არჩევნებისათვის. როგორ ეწყობა საარჩევნო უბნები ქალაქში და სოფლად. საარჩევნო უბნების შექმნის საწარმოო პრინციპი სსრ კავშირის წინანდელ კონსტიტუციაში და ტერიტორიული პრინციპი სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში.

როგორ ზრუნავს საარჩევნო კანონი ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის შორეული რაიონების ამომრჩევლებზე, იმ ამომრჩევლებზე, რომლებიც სამხედრო ნაწილებში და გზად მყოფ გემებზე იმყოფებიან, იმ ამომრჩევლებზე, რომლებიც იმყოფებიან საავადმყოფოებში, სამშობიარო სახლებში, სანატორიუმებში, ინვალიდთა სახლებში.

ვინ ქმნის საარჩევნო ოლქებსა და საარჩევნო უბნებს.

ლიტერატურა:

სსრ კავშირის კონსტიტუცია, თავი III. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები, მუხლები 34 და 35.

დებულება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ, თავი III. კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქები. თავი IV. საარჩევნო უბნები.

კალინინი. დებულება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ და საბჭოების ამოცანები. კარი „კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შესახებ" და კარი „საარჩევნო უბნების შესახებ".

იაკოვლევი. „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების" პროექტის შესახებ. კარი I. როგორ არის უზრუნველყოფილი საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლება და ფარული კენჭისყრა. კარი III. არჩევნების ორგანიზაცია.

სოციალისტური სახელმწიფოს საარჩევნო სისტემა. („ბოლშევიკი" № 13, 1937 წ.).

მე-4 მეცადინეობა

საარჩევნო კომისიები, ამომრჩეველთა სიები. კანდიდატთა წამოყენების წესი

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია. ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიები მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქში და ნაციონალურ ოკრუგში. ამ საარჩევნო კომისიების შემადგენლობა, მათი ფუნქციები და ვინ ამტკიცებს მათ.

კავშირის საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები, მათი შემადგენლობა, მათი ფუნქციები და ვინ ამტკიცებს მათ. ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები, მათი შემადგენლობა, მათი ფუნქციები და ვინ ამტკიცებს მათ.

საუბნო საარჩევნო კომისიები, მათი შემადგენლობა, ფუნქციები და ვინ ამტკიცებს მათ.

საარჩევნო ბიულეტენების მიღება საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ. ოლქში არჩევნების შედეგების გამორკვევა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ.

საარჩევნო კომისიების შედგენის ვადები.

ვინ ადგენს ამომრჩეველთა სიებს. ვინ შეაქვთ ამომრჩეველთა სიებში. ვინ არ შეაქვთ ამომრჩეველთა სიებში. როგორ შეაქვთ ამომრჩეველთა სიებში მოქალაქენი, რომლებიც იცვლიან საცხოვრებელ ადგილს. როგორ სწარმოებს ამომრჩეველთა სიებიდან ამოშლის ან ამომრჩეველთა სიებში არასწორად შეტანის გასაჩივრება. ამომრჩეველთა სიებში სამხედრო მსახურთა შეტანის წესი. როგორ ხდება მოქალაქეთათვის ამომრჩეველთა სიების გაცნობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

რომელ ორგანიზაციებს აქვთ სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში კანდიდატების წამოყენების უფლება. კანდიდატთა წამოყენებისა და რეგისტრაციის წესი. წამოყენებულ კანდიდატთა გვარების გამოქვეყნების წესი.

საარჩევნო ბიულეტენი.

არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯები გაღებული იქნება სახელმწიფოს მიერ.

კანდიდატების სასარგებლოდ აგიტაციის დაუბრკოლებლივ გაწევის უფლება. სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-125 მუხლი სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებებისა და მიტინგების, ქუჩაში მსვლელობათა და დემონსტრაციათა თავისუფლების შესახებ — „მშრომელთა ინტერესების შესაბამისად და სოციალისტური წყობილების განმტკიცების მიზნით".

ლიტერატურა:

სსრ კავშირის კონსტიტუცია, თავი X. მოქალაქეთა ძირითადი უფლებანი და მოვალეობანი, თავი XI. საარჩევნო სისტემა.

დებულება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ, თავი II. ამომრჩეველთა სიები. თავი V. საარჩევნო კომისიები. თავი VI. სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენების წესი.

კალინინი. დებულება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ და საბჭოების ამოცანები. კარი: საარჩევნო სიების შესახებ, საარჩევნო კომისიების შესახებ, კანდიდატთა წამოყენების წესის შესახებ.

იაკოვლევი. „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების" პროექტის შესახებ. კარი II. როგორ არის უზრუნველყოფილი საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მშრომელების საზოგადოებათა უფლება წამოაყენონ თავისი კანდიდატები. კარი III. არჩევნების ორგანიზაცია.

სოციალისტური სახელმწიფოს საარჩევნო სისტემა. („ბოლშევიკი" № 13, 1937 წ.).

მე-5 მეცადინეობა

კენჭისყრის წესი და არჩევნების შედეგების გამორკვევა

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დღისა და საათის დაწესება.

კავშირის საბჭოს არჩევნების საარჩევნო ბიულეტენი და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ბიულეტენები. კონვერტი. საარჩევნო ყუთები. ბიულეტენების შესავსები ოთახი საარჩევნო უბანში და ოთახი, სადაც ყუთში კონვერტებს ჩაუშვებენ.

საარჩევნო კომისიაში ხმის მისაცემად ამომრჩევლის პირადად გამოცხადების აუცილებლობა. საარჩევნო კომისიაში საარჩევნო ბიულეტენებისა და კონვერტების გაცემის წესი. საარჩევნო ბიულეტენების შევსების წესი (ბიულეტენების შესავსებ განსაკუთრებულ ოთახში). როგორ შეავსებენ ბიულეტენებს წერაკითხვის უცოდინარნი, ინვალიდები. ბიულეტენის ჩადება კონვერტში და დაბეჭდვა და მისი ჩაშვება საარჩევნო ყუთში (ოთახში, სადაც მოთავსებულია საუბნო საარჩევნო კომისია).

საარჩევნო ბიულეტენების საფუძველზე ხმების დათვლისა და საარჩევნო უბანში კენჭისყრის შედეგების გამოცხადების წესი. რომელი ბიულეტენები ჩაითვლება არანამდვილად. საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისიაში ხმების დათვლის წესი. ოლქში არჩეული კანდიდატის შესახებ გამოცხადების წესი. არჩევისათვის ოლქში ხმების აბსოლუტური უმრავლესობის მიღების აუცილებლობა. აუცილებლობა იმისა, რომ არჩევნებს ოლქში დაესწროს ამომრჩეველთა ნახევარზე მეტი, რათა არჩევნები ცნობილ იქნას ნამდვილად.

არჩევნების გაუქმების შემთხვევაში კანდიდატთათვის ხელახალი კენჭისყრის წესი.

არჩევნების დროს ძალადობის, მოტყუების, მუქარის, მოსყიდვის დაუშვებლობა.

ლიტერატურა:

დებულება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ, თავი VII. ხმის მიცემის წესი. თავი VIII. არჩევნების შედეგების გამორკვევა.

კალინინი. დებულება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ და საბჭოების ამოცანები. კარი „ხმის მიცემის წესის შესახებ"; კარი „არჩევნების შედეგების გამორკვევის შესახებ".

იაკოვლევი. „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების" პროექტის შესახებ. კარი III. არჩევნების ორგანიზაცია.

სოციალისტური სახელმწიფოს საარჩევნო სისტემა. („ბოლშევიკი" № 13, 1937 წ.).

(„ვ პომოშჩ პარტიინომუ უჩებე", № 25, 1937 წ. სექტ.)

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე ბადენში მეთერთმეტე ტურის ყველაზე მწვავე და დაძაბული იყო ფაინ-რაგოზინის პარტია. დებიუტით უპირატესობა ფაინის მხარეზე იყო, მაგრამ შემდეგში რაგოზინმა გადააჭარბა თამაშით მოწინააღმდეგეს, ხელთ იგდო ინიციატივა და პარტიის მოგების შანსები მიიღო. ფაინი წავიდა ორი პაიკის შეწირვაზე და სამაგიეროდ ორი ძლიერი კუ მიიღო. ორივე მოწინააღმდეგე მოხვდა ცეიტნოტში, რომლის დროსაც რაგოზინმა ვერ გამონახა მოგების მართებული გაგრძელება და პარტია ყაიმით დასრულდა.

კერესმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა პეტროვთან, კაპაბლანკა — რეეშევსკის და ფლორ — ელისკაზესის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

წინა ტურებიდან გადადებულ პარტიებში ფაინი და ელისკაზესი ყაიმზე შეთანხმდნენ. რეეშევსკიმ მოუგო ელისკაზესს და წააგო პეტროვთან.

მეთორმეტე ტური კერესის პირველი დამარცხებით აღინიშნა. ენდშპილში უყურადღებო თამაშის შედეგად იგი დაამარცხა მე-65 სვლაზე ავსტრიის ჩემპიონმა ელისკაზესმა.

რაგოზინთან პარტიის მოგებით გამოისწორა მდგომარეობა კაპაბლანკამ. ფლორ — რეეშევსკის და ფაინ — პეტროვის პარტიები დაძაბული ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა.

25 სექტემბერს დამთავრებულ იქნა წინა ტურებიდან გადადებული პარტიები. კაპაბლანკამ გაუთამაშებლივ დასთმო გადადებული პარტია ელისკაზესთან. კერესმა განიმტკიცა პირველი ადგილი, რადგან კერესის დაწევის ყველაზე დიდი შანსი კაპაბლანკას ჰქონდა.

ფლორ — რეეშევსკის პარტია ყაიმით დასრულდა. ასეთივე შედეგი მოგვცა რეეშევსკი — ფაინის პარტიამაც.

შეჯიბრების მდგომარეობა მეთორმეტე ტურის შემდეგ ასეთია: კერესი — 8½, ფაინი — 7, კაპაბლანკა — 6½, ფლორი და რეეშევსკი — 6, ელისკაზესი და რაგოზინი — 5, პეტროვი — 4.

„მარქსიზმის კლასიკოსები"

დიდი პროლეტარული რევოლუციის 20 წლისთავზე, საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის საბიბლიოგრაფიო-საცნობარო განყოფილება გამოსაცემად ამზადებს ბიბლიოგრაფიულ საძიებელს „მარქსიზმის კლასიკოსები".

წიგნში შეტანილი იქნება მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის ყველა ის ნაწარმოები, რაც ქართულ ენაზე მოიპოვება.

წიგნის შედგენა ძირითადად დამთავრებულია. ის უახლოეს დროში წარმოებას გადაეცემა.

მძარცველთა ბრბოს ლიკვიდაცია

აგვისტოს დამდეგს თბილისში აღნიშნული იყო ქუჩაში ძარცვის რამდენიმე შემთხვევა. რევოლვერებით შეიარაღებული მძარცველები აჩერებდნენ გამვლელთ, ართმევდნენ ფულს, რის შემდეგაც მიიმალებოდნენ.

31 ივლისს ღამით გრიბოედოვის ქუჩაზე შეიარაღებულ მძარცველთა ბრბომ გააჩერა ქუჩაში მიმავალი მ. კორხოვი და რ. ბაბაიანის ქალი, რომლებსაც მოსთხოვეს ფული. კორხოვმა და ბაბაიანმა წინააღმდეგობა გაუწიეს, რის შედეგადაც ბოროტმოქმედნი გაიქცნენ. ამასთანავე მათ რევოლვერით დასჭრეს მოქ. ბაბაიანი. იმავე ღამეს მძარცველთა ბრბო ცდილობდა შეპარულიყო მოქ. ა. ვ. ოქროპირიძის ბინაში (ჭავჭავაძის ქ. № 3), მაგრამ ოქროპირიძემ შენიშნა ისინი და წინააღმდეგობა გაუწია. ბოროტმოქმედნი მიიმალნენ. 2 აგვისტოს ვერის ბორანთან თავს დაესხნენ მოქ. ტერტეროვს და მურადოვს. მძარცველებმა მათ წაართვეს ფული, რის შემდეგაც მიიმალნენ.

3 აგვისტოს კიროვის სახელობის პარკში მილიციის მე-11 განყოფილების მილიციელმა შენიშნა საეჭვო პირთა ჯგუფი. დაპატიმრებისას ისინი გაიქცნენ და რამდენიმეჯერ ესროლეს მილიციელს. ერთერთი ბოროტმოქმედი მაინც შეიპყრეს. ის აღმოჩნდა მ. ნ. მუჰარაძე, რომელსაც მისჯილი ჰქონდა 8 წლის ციხე და გაიქცა საპატიმროდან. მას უპოვეს „ნაგანის" სისტემის რევოლვერი.

შემდეგ სისხლის სამართლის მილიციამ სხვადასხვა დროს შეიპყრო ბრბოს დანარჩენი მონაწილენიც — რ. ზ. შარიფაშვილი, გ. ს. ლაზარიშვილი, (იგივე ხუციშვილი) და გ. ვ. რუხაძე (იგივე ეორეულიანი). ყველა მათ ქურდობისა და ბანდიტიზმის რამდენიმე რეგისტრაცია აქვთ. ბანდიტებს აღმოაჩნდათ იარაღი.

მათთან ერთად დაპატიმრებულია შ. ა. მაქარაშვილის ქალი, რომლის ბინაზედაც თავს იყრიდნენ ბრბოს წევრები.

ფეხბურთი

საკავშირო პირველობის გათამაშება

მოსკოვის „სპარტაკისა" და მოსკოვის წითელი არმიის ცენტრალური სახლის გუნდის შეჯიბრებით დამთავრდა საკავშირო პირველობის გათამაშების პირველი წრე.

მოსკოვის ქარხნის „სერპ ი მოლოტის" გუნდმა „მეტალურგმა", რომელიც წელს გადაირიცხა „ა" ჯგუფში, როგორც ვიცით, პირველი ადგილი დაიკავა და 20 ქულა მოაგროვა 24 შესაძლებელიდან. „სპარტაკმა", რომელმაც მოუგო წითელი არმიის ცენტრალური სახლის გუნდს (2:0), 19 ქულა შეაგროვა და მეორე და მესამე ადგილი გაიყო მოსკოვის „დინამოსთან". მეოთხე ადგილზე გამოვიდა კიევის „დინამო", რომელმაც 18 ქულა მოაგროვა. მეხუთე ადგილი დაიკავეს თბილისის „დინამოელებმა". მეექვსე და მეშვიდე ადგილი გაიყვეს მოსკოვის „ლოკომოტივმა" და ლენინგრადის „დინამომ", მერვე ადგილზეა ლენინგრადის „კრასნაია ზარია" და უკანასკნელზე წითელი არმიის სახლის გუნდი.

მეორე წრიდან ჩატარებულმა რამდენიმე შეჯიბრებამ დაამტკიცა, რომ ბრძოლა ლიდერობისათვის გრძელდება „სპარტაკს", „მეტალურგსა" და მოსკოვის და კიევის „დინამოს" შორის. სხვებზე უკეთესად დაიწყეს მეორე წრე „სპარტაკმა" და კიევის „დინამომ". „სპარტაკმა" მოუგო კიევის „დინამოს" და „კრასნაია ზარიას", ყაიმით დაამთავრა მოსკოვის „დინამოსთან". კიევის „დინამომ" გამარჯვება მოიპოვა „კრასნაია ზარიასთან" და „მეტალურგთან", ყაიმით დაამთავრა „ლოკომოტივთან". მოსკოვის „დინამოს" ორი ყაიმი აქვს და ერთი გამარჯვება, „მეტალურგს" — ორი ყაიმი, ერთი გამარჯვება და ორი დამარცხება.

O

უკანასკნელი შეჯიბრებით მოსკოვის „მეტალურგთან" თბილისის „დინამომ" აღიდგინა მებრძოლი გუნდის რეპუტაცია და სამი ქულით წინ წაიწია. ამჟამად მას ათი თამაშიდან, ე. ი. 30 შესაძლებელი ქულიდან აქვს 19 ქულა. დინამოელებმა ძლიერად ჩაატარეს მთელი თამაში და სასტიკად დაამარცხეს (4:0) პირველობის გათამაშების ლიდერი „მეტალურგი".

30 სექტემბერს თბილისის „დინამოს" მოელის ფრიად პასუხსაგები მატჩი მოსკოვის „სპარტაკთან". აღსანიშნავია, რომ „სპარტაკი" თბილისში პირველად თამაშობს.

ახალი წიგნები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა შემდეგი წიგნები: შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანი" ვახტანგისეული რედაქციით. ეს წიგნი წარმოადგენს გენიალური პოემის პირველ ნაბეჭდ გამოცემას (1712 წლის).

„ვეფხის ტყაოსნის" ვახტანგისეული რედაქცია აღადგინა და კომენტარიები დაურთო პროფ. აკაკი შანიძემ.

პროფ. პოლიევქტოვის „მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის" (რუსულ ენაზე).

საქ. სახელგამმა გამოსცა ახალგაზრდა პოეტის პეტრე გიგიბერიას ლექსების წიგნი — „სიხარული", რომელშიც მოთავსებულია 28 ლექსი.

„ფედერაციის" გამოცემით გამოვიდა სერგო მაკალათიას „თუშური ლექსები".

სამეგრელოს მუზეუმმა (ზუგდიდი) გამოსცა იონა მეუნარგიას მოგონებათა წიგნი „ილია ჭავჭავაძე".

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში.

28 სექტემბერს.

ალკკ კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „საარჩევნო კანონი სოციალიზმის ქვეყანაში და კაპიტალისტურ ქვეყნებში", კონსულტანტი (ქართულ ენაზე) — ამხ. ცხადაძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

O

29 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში ქალაქის პარტაქტივისათვის შესდგება ამხ. მაჭულოვის მოხსენება თემაზე: „კადრების შერჩევა და ბოლშევიკურად აღზრდა — პარტიის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ამოცანაა".

შესვლა გასაშვები ბარათებით.

O

28 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, ლენინის რაიკომის შენობაში კომკავშირის აქტივისათვის შესდგება ამხ. ბრეგვაძის და ბუდუმიანის მოხსენებები ქართულ და რუსულ ენებზე შემდეგ თემაზე: „ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი ახალგაზრდობის ერთიანი ფრონტისათვის ბრძოლაში ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ".

O

29 სექტემბერს, საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე, 26 კომისრის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში აგიტატორებისა, პროპაგანდისტებისა და პარტაქტივისათვის შესდგება პროფ. ათაბეკოვის ლექცია თემაზე: „ჩინეთის პოლიტიკურ-ეკონომიური მიმოხილვა".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ე. ბედია

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1937/38 წ. სეზონი

1 და 2 ოქტომბერს
წარმოდგენა 1 და 2
სეზონის გახსნა
პრემიერა
უილიამ შექსპირი
ოტელო
ხუთმოქმედებიანი ტრაგედია ცხრა სურათად. ივანე მაჩაბლის თარგმანი ინგლისურიდან.
დადგმა შ. ახსაბაძისა (ხელ. დამს. მოღვ., ორდენოსანი).
დეკორაცია და კოსტუმები მხ. ირ. გამრეკელისა (ხელ. დამს. მოღვ., ორდენოსანი).
მუსიკა ი. ტუსკიასი (ხელ. დამს. მოღვ., ორდენოსანი).
ხელშეკრულებით შეძენილი მუდმივი ადგილების დარიგება დაიწყება 26 სექტემბრიდან თეატრის სალაროში საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე. ბილეთების მისაღებად საჭიროა ცნობები გადასახადის გადახდის შესახებ და მინდობილობის ბარათი.
დასაწყისი 8 საათზე. 50 4—3

დღეს საკინოთეატრებში

ოქტომბერი პლეხანოვის გამზ. № 135	ხმოვ. მხატვრ. ფილმი ჯოზსეკი დასაწყისი 6-30
დამკვრელი პლეხანოვის გამზ. № 125	დადგმის მე-4 კვირა პეტრე 1-ლი დასაწყ. საზამთ. შენ. 6 ს., საზაფხ. შენ. 8-20
კომკავშირელი პლეხანოვის გამზ. № 91	ახალი ხმოვანი ფილმი მაღაროელნი დასაწყ. საზაფხ. 8-50, საზამთ. 6-30
რ. ლუქსემბურგის სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8	ხმოვ. ფილმი გავროშ დასაწყ. 6-30
26 კომ. სახელობის შაუმიანის მოედანი	საზაფხ. შენ. შორეულ აღმოსავლეთში დ. 8 ს. საზამთ. შ. ფრთოსანი მღებარი დასაწ. 6-30
კომინტერნი ბრძოლის ქ. № 222	ხმოვანი ფილმი პირველი სიყვარული დასაწყისი 8 საათზე.
ახალი ამბები	სტალინური შევარდნების გმირობა. ესპანეთის ამბები მე-19 გამოშვება.
არსენა კომუნალური ქ. № 9	ხმოვ. ფილმი ქალიშვილს პაემანზე მიეჩქარება დასაწყისი 7 საათზე.

საქ. სსრ ჯანსახკომის მედგანათლების სამმართველო აცხადებს
რომ თბილისის სახელმწიფო ფარმაცევტულ ინსტიტუტთან პროვიზორის თანაშემწეთათვის იხსნება ხამწლიანი საპროვიზორო კურსები წარმოებას მოუწყვეტლივ
კურსებზე მიიღებიან ასაკით არა უმეტეს 45 წლ.: 1. პროვიზორის თანაშემწენი, რომელთაც აქვთ საშუალო განათლება და სულ მცირე—ათი წლის საწარმოო სტაჟი.
2. პროვიზორის თანაშემწენი, რომელთაც არა აქვთ დასრულებული საშუალო განათლება, მაგრამ აქვთ 15 წლის საწარმოო სტაჟი.
3. კურსებზე ჩარიცხულები უზრუნველყოფილნი არ იქნებიან საერთო საცხოვრებლით და სტიპენდიით.
4. კურსების მსმენელთა რიცხვი განსაზღვრულია 30 კაცით.
5. მსურველებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ: ა) პროვიზორის თანაშემწის მოწმობა, ბ) საშუალო განათლების მოწმობა (ვისაც აქვს), გ) მეტრიკული ამონაწერი, დ) საწარმოო სტაჟის მოწმობა, ე) ჯანმრთელობის მოწმობა და ვ) ორი შემოწმებული ფოტოსურათი.
6. განცხადებები მიიღება ფარმაცევტულ ინსტიტუტში (პეროვსკაიას ქ. № 22) დღის 12 საათიდან 3 საათამდე ა. წ. 5 ოქტომბრამდე, ხოლო მეცადინეობა დაიწყება ა. წ. 10 ოქტომბერს.
ჯანსახკომის მედგანათლ. სამმ. უფროსი სოხიანი.
1241 მთ. სააფთ. სამმ. უფროსი ბერია.

საქ. სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს საგუნდო-საანსამბლო გაერთიანება
აცხადებს, რომ სახელმწიფო საბავშვო კაპელაში (მომღერალთა გუნდში) მისაღები გამოცდები იწარმოებს 1, 2 და 3 ოქტომბერს ხალხური შემოქმედების კაბინეტის შენობაში (მახარაძის ქ. № 8), საღამოს 5-დან 7 საათამდე.
განცხადებების მიღება ყოველდღე 10—4 საათ. იმავე მისამართით.
17382 3-3 საგუნდო-საანსამბლო გაერთიანების დირექცია.

საქართვ. მსუბ. მრეწველობის სახ. კომისარიატის
სამკერვალო ფაბრიკა № 6
ოოდრიას ქუჩა (ყოფილი სომხის ბაზრის) № 22.
აცხადებს
შემკვეთლების საყურადღებოდ
რომ ქვემოთ ჩამოთვლილი შეკვეთები: კოსტიუმები და პალტოები, როგორც კაცის, ისე ქალის, რომლებიც დამზადებული იყო 25 სექტემბრისათვის, მიუხედავად დანიშნული ვადებისა, გამოსყიდულ უნდა იქნას სამი დღის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. აღნიშნული ვადის შემდეგ შეკვეთები გადაეცემა „მკერავგასაღებას" და არავითარი პრეტენზიები არ მიიღება.
შეკვეთების №№
237, 246, 475, 499, 500, 646, 798, 995, 996, 999, 1015, 1039, 1047, 1051, 1055, 1056, 1060, 1061,
1078, 1079, 1091, 1093, 1117, 1119, 1128, 1136, 1142, 1143, 1152, 1154, 1175, 1177, 1190, 1197,
1200, 1202, 1209, 1215, 1218, 1219, 1223, 1227, 1228, 1231, 1232, 1239, 1244, 1245, 1251, 1259,
1267, 1268, 1269, 1271, 1273, 1274, 1279, 1284, 1291, 1293, 1296, 1298, 1304, 1305, 1307, 1309,
1310, 1313, 1314, 1315, 1316, 1326, 1328, 1331, 1338, 1342, 1347, 1349, 1357, 1358, 1363, 1364,
1365, 1369, 1370, 1375, 1381, 1384, 1386, 1440, 2287, 2457, 2496, 2507, 2615, 2617, 2626, 2653,
2656, 2748, 2749, 2813, 2836, 2858, 2859, 2862, 2869, 2877, 2904, 2905, 2906, 3164, 3293, 3350,
3354, 3357, 3360, 3369, 3373, 3376, 3386, 3387, 3392, 3409, 3410, 3425, 3426, 3427, 3428, 3429,
3437, 4362, 4544, 4556, 4624, 4625, 4633, 4646, 4659, 4661, 4663, 4701, 4710, 4714, 4721, 4774,
4777, 4778, 4781, 4792, 4795, 4796, 4802, 4803, 4804, 4809, 4810, 4818, 4825, 4892, 4959, 7236,
7376, 393, 7454, 7461, 7462, 7470, 7476, 7485, 7486, 7493, 7681, 8175, 8223, 8331, 8333, 8338,
8418, 8461, 8463, 8497, 8500, 8507, 8509, 8520, 8523, 8537, 9342, 9343, 9353, 9257, 9369, 9376,
9379, 9384, 9396, 9398, 9401, 9408, 9416, 9421, 9426, 9428, 9430, 9431, 9443, 9444, 13013, 13028,
13037, 13048, 13058, 13068, 13077, 13084, 13089, 13093, 13095, 13096, 13101, 13103, 13108, 13111,
13112, 13118, 13121, 13127, 13129, 13132, 13133, 13137, 13139, 13142, 13144, 13149, 13154, 13175,
13177, 13181, 13188, 14035.
მზა შეკვეთები ფაბრიკის განყოფილებაში—შაუმიანის მოედანი № 1 (ავლაბარი).
201, 269, 276, 315, 336, 344, 345, 346, 347, 351, 362, 366, 376, 377, 384, 385, 392, 393, 395,
402, 407 409, 410, 411, 412. 414, 415, 425, 426, 428, 432, 434, 435. 436, 438, 439, 440, 441,
442, 444, 445, 454, 455, 456, 457, 1335, 1618, 1658, 1698, 1717, 1770, 1779, 1795, 1852, 1853,
1870, 1883, 1887, 1891, 1900, 1901, 1903, 1904, 1910, 1922, 1930, 1944, 1960, 1962, 1963, 2010.
შენიშვნა: დანარჩენი შეკვეთები: ხალათები, შალვრები და ქალის კაბები, რომლებიც მზად იყო 25 სექტემბრისათვის, უნდა გამოსყიდულ იქნას ზემოთ აღნიშნულ ვადაში.
1725

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: სამ დივნის: 3—06—88. განყოფილებებ ისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის— 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.
მთავლიტის რწმუნებული 3—8335